

821.1401

6-72



გეოგრაფიკული

821-10121-24

ს. 72 (6. 12)

ს. 75

# თილის ქუჩა

სსიპ „ბათუმის შრომის რესტავრაციის  
სახელმწიფო ენივერსიტეტი“ -  
ბიბლიოთეკა  
№ 5849

ფაჩგმანი  
ბარეჩილასის



სახელი: *ფაჩგმანი ბარეჩილასი*  
«საქმის სპეკტრული»

1958

**ს. შაუხრიშვილის**  
რედაქციითა და წინასიტყვაობით



## წინასიტყვაობა

მაგრამ სიცოცხლე, კეთილშობილს შეეფერება —  
ქონდეს ლამაზი, ან სიკვდილი სახელოვანი

„ა ი ა ნ ტ ი“.

ვარსებობ მისთვის, რომ მიყვარდეს და არა მძულდეს.

„ა ნ ტ ი გ ო ნ ე“.

### I

ს ო ფ ო კ ლ ე — ერთი იმ სამ ტრაგიკოსთაგანია, რომელ-  
თაც VI — V საუკუნეთა საბერძნეთში მალლა ეპირათ დროშა  
ბერძნული კულტურის სიდიადისა და რომელნიც დემოკრა-  
ტიული ათენის საზოგადოებრივი ცხოვრების გეზს წარმართავ-  
დნენ. ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე ბერძნული ტრაგედიის  
განვითარების სამ საფეხურს წარმოადგენდნენ და ამავე დროს  
ათენის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ცხოვრების გან-  
ვითარების სხვადასხვა ეტაპებს ასახავდნენ თავიანთ ტრაგე-  
დიებში, იმ ეტაპებს, რომლებიც განვლო საბერძნეთის დემოკ-  
რატიამ VI — V საუკუნეებში მის მიერ წარმოებულ ბრძოლაში  
გამარჯვების გზაზე.)

ამათგან (სოფოკლეს წილად ხვდა აესახა თავის ტრაგედიებ-  
ში ის ხანა, როდესაც გარდამწყვეტი ბრძოლები წარმოებდა  
ათენში არისტოკრატისა და დემოსის შორის და დემოსი უკვე  
გამარჯვების გზაზე იყო დამდგარი) ამ ბრძოლას დემოსის  
მხრით შეთაურობდა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და  
სოფოკლეს პირადი მეგობარი პერიკლე.)

(პერიკლემ, რომელიც 469 წლიდან შეუდგა სახელმწიფო  
მოღვაწეობას, მთელი თავისი სახელმწიფო, სამხედრო და  
პოლიტიკური ნიჭი მოანდომა ათენის გარშემო ეგეოსის ზღვის

ქალაქ-სახელმწიფოების შემოკრებას) და იმის ნათელყოფას, რომ მხოლოდ მმართველობის დემოკრატიულ სისტემას შეუძლია უზრუნველყოს სახელმწიფოს სიძლიერე, ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრება და ადამიანის სულიერი თავისუფლება. ჩვენამდე მოღწეულია მის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც ის ამბობს:

«ჩვენ ისეთი სახელმწიფო წყობილება გვაქვს, რომელიც უცხოელთა კანონებს კი არა ჰბაძავს, არამედ ჩვენ უფრო წარმოვადგენთ ნიშნებს სხვებისთვის, ვიდრე სხვებს ვბაძავდეთ. და მისი (ე. ი. ამ სახელმწიფო წყობილების) სახელია დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა, ვინაიდან იგი ეყრდნობა არა უმცირესობას, არამედ უმრავლესობას. არსებული კანონების მიხედვით ყველას თანაბარი უფლება აქვს მიკუთვნებული თავის პირად საქმეებში, ხოლო სახელმწიფო საქმეებში ყველას აქვს მნიშვნელობა მისი საზოგადოებრივი ღირსების მიხედვით, იმისდა მიხედვით, თუ თითოეულს რა ნიჭი აქვს; არათუ მისი ამა თუ იმ ფენისადმი მიკუთვნების მიხედვით, არამედ მისი სიკეთისა და ვაყაყობის მიხედვით (შპრ შერე); აგრეთვე წარჩინებულობის უქონლობა-ღარიბ კაცს არაფერში აბრკოლებს, თუკი მას შეუძლია რაიმე კარგი გაუკეთოს სახელმწიფოს... კერძო საქმეებში შეუზღუდველნი ვართ, ხოლო საზოგადოებრივ საქმეებში არ ვარღვევთ კანონებს მათ წინაშე შიშის გამო, ვემორჩილებით ხელისუფალთ და კანონებს, განსაკუთრებით იმ კანონებს, რომლებიც განკუთვნილია ჩაგრულთა დასახმარებლად და რომლებიც, მართალია დაუწერებლნი არიან, მაგრამ იწვევენ საყოველთაო დაგმობას, თუ მათ არ შეასრულებ... მოკლედ რომ მოვკრა სიტყვა, ჩვენი სახელმწიფო არის ელადის განათლების აკვანი და მე მგონია, რომ თითოეულ კაცს შეუძლია ჩვენში მოხერხებულად მისდიოს მრავალნაირ საქმიანობას და დამოუკიდებელ მდგომარეობას მიაღწიოს... ამ თვისებების გამო მოიპოვა ჩვენმა სახელმწიფომ ძალა და მნიშვნელობა».

✓ ათენის ძლევამოსილობის საწინდარი იყო სახელმწიფოს ხელმძღვანელობა ძლიერი პიროვნების მიერ, ~~ხემოკრატის~~ მეთაურობა მედგარი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის მქონე ადამიანის მიერ. სოფოკლეს თავის ტრაგედიებში უმთავრესად ამას აქცევს ყურადღებას: ეს ასახავს მტკიცე ხასიათის მქონე ადამიანებს, რომლებიც არ დრკებიან იმის წინაშე, რომ შეეზრძოლონ ძველ შეხედულებებს, თუკი ისინი სახელმწიფოს კეთილდღეობას ვნებას აყენებენ; ასახავს ისეთ ადამიანებს, რომლებიც სიკეთისა და ვაჟკაცობის მაღალ საფეხურზე დგანან, ხალხის საკეთილდღეოდ პირად ცხოვრებასაც იფიქრებენ და, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს, ხელს იღებენ პირად ბედნიერებაზე, თუ ეს უკანასკნელი რამენაირად წინააღმდეგობაშია საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფასთან. ✓

შეიძლება სოფოკლეს სინამდვილეში ასეთ ადამიანებს ვერც კი ხედავდეს, მაგრამ, მისი აზრით, სინამდვილისათვის, იმ დემოკრატიული სისტემისათვის, რომლის სურათს ჰხატავს პერიკლეს თავის სიტყვაში, საჭიროა, რომ ასეთი ადამიანები არსებობდნენ.

ამბობენ, სოფოკლეს რეალისტი მწერალი არ არისო. მართლაც, შეიძლება სოფოკლეს არ იყოს რეალისტი მწერალი იმ გაგებით, როგორც ვერძიბიძეა, რომელიც თავის ტრაგედიებში სინამდვილეში არსებულ ტიპებს ასახავს. მაგრამ, თუ ჩვენ კარგად ჩავუყვირდებით სოფოკლეს შემოქმედების იმ განსაზღვრას, რომელიც მოეპოვებოდათ თვით ძველ ბერძნებს, დავრწმუნდებით, რომ სოფოკლეს ტრაგედიები რეალიზმის გარკვეულ საფეხურზე არიან. სახელდობრ: არისტოტელეს (მეოთხე საუკუნე) თავის „პოეტიკაში“ ამბობს: „თუ ხელოვანს უსაყვედურებენ, რომ მან არაქეშმარიტი ამბები ასახა, უნდა პასუხი გაეცეს: „მაგრამ იქნება ასახა როგორც საჭიროა“, როგორც, მაგალითად, სოფოკლეს მტკიცეა, რომ იგი ასახავს ადამიანებს, როგორებიც ისინი უნდა იყვნენ, ხოლო ვერძიბიძე — როგორებიც ისინი არიან“.

მართლაც, სოფოკლეს გმირები წარმოვიდგინებთ ადამიანებს. როგორც ისინი უნდა იყვნენ, ესე იგი იდეალურ ადამიანებს. ისეთ ადამიანებს, როგორებიც საქართველოში არიან პერიკლეს და სოფოკლეს ეპოქის სინამდვილისათვის, მტკიცე ხასიათის მქონე და უკომპრომისო ადამიანებს. ესე გარემოება იცოდა არა მარტო არისტოტელემ; ეს სცოდნია თვით სოფოკლესაც, რომელსაც, როგორც ჩანს, უსაყვედურებდნენ, რომ მისი გმირები აჩარხალური ადამიანები იყვნენ. ამიტომ, წინასწარ არისტოტელე, უნდა უპასუხო ისე, როგორც სოფოკლემ უპასუხაო.

ღრმად რომ ჩავუვირდეთ მხატვრული ნაწარმოების დანიშნულებას რეალური ცხოვრებისათვის მომსახურების გაწევის თვალსაზრისით, უთუოდ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ სინამდვილეში არსებული ადამიანების ასახვა ვერ ამოსწურავს მხატვრული ნაწარმოების დანიშნულებას. პოეტი იმიტომ არის აღიარებული ხალხის მიერ „წინასწარმეტყველად“, რომ იგი არსებული ვითარების მიხედვით განჰყვრეტს ახლო მომავლის საჭიროებას, და ამგვარად ასახავს თავის შემოქმედებაში არა მარტო იმას, რაც სინამდვილეში არსებობს, არამედ (და უპირატესად) იმასაც, რაც ამ სინამდვილეს ესაჭიროება წინსვლისათვის; არა მარტო იმას, რაც არის, არამედ იმასაც, რაც უნდა იყოს, რომ ქვეყნის საქმე დაწინაურდეს და არსებულის მაგიერ დამყარდეს სხვა, არსებულზე უფრო კარგი, უფრო მოწინავე.

### III

☛ სოფოკლეს 123 დრამა დაუწერია, ჩვენამდე კი მხოლოდ შვიდია მოღწეული: ანტიგონე, აიანტი, თიდიპოს მეფე, ტრაქინელი ქალები, ელექტრა, ფილოქეტე, თიდიპოს კოლონოში. გარდა ამისა, მოღწეულია აგრეთვე ორი სატირული დრამა და რამდენიმე ტრაგედიის ცოტად თუ ბევრად მწამწველიცაა ფრაგმენტები.

სოფოკლეს გმირები იდეალური ადამიანები არიან, დიადნი და კეთილშობილნი, პირდაპირნი და პრინციპიალურნი, ნაზად

მოყვარული მშობლები და მგრძობიარე შეილები, უდრეკი პატრიოტები და მტრისათვის ზარის დამცემნი, ამიტომ უაღრესად მიწოდებულნი და სათაყვანებულნი. წაზად მოყვარული და ანტიგონე (ტრაგედიაში „ანტიგონე“), რომელსაც არ შეუძლია ვისიმე მტერი იყოს, ვინმე სძულდეს („გარსებობ მისთვის, რომ მიყვარდეს და არა მძულდეს“) და თავს სწირავს ძმის სსოენის დასაცავად, მაგრამ ანტიგონეს პირდაპირობას უპირისპირდება მეფის კრეონტის პრინციპულობა, რაც მეფეს უკრძალავს ნება დართოს დასაფლავონ ანტიგონეს ძმა პოლინიკე, რომელმაც თავის საწმინდოს უღალატა და მტრის ჯარი შემოიყვანა ქალაქში. ასევე ძლიერი ნებისყოფის პატრონია აიანტი (ტრაგედია „აიანტი“), რომელსაც მისდამი მიყენებულმა შეურაცხყოფამ გონება დაუკარგა; ქვეშე შეშლილმა აიანტმა დიდი ზარალი მიაყენა ბერძენთა ბანაკს და, როცა გონს მოვიდა და იგრძნო, თუ რა ჩაუდენია, გადაწყვიტა, რომ ერთადერთი განოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან არის:

მაგრამ სიცოცხლე, კეთილშობილს შეეფერება —  
ჰქონდეს ლამაზი, ან სიკვდილი სახელოვანი,

და იგი კვდება საკუთარი ხელით (და არა შეურაცხმყოფელი მახვილით მტრისა). ასევე დიადნი არიან სოფოკლეს სხვა გმირებიც.

განსაკუთრებული რეზონანსი ჰქონდა მთელ მსოფლიოში „ოი დიპოს მეფეს“. მასში ამოიკითხა მკითხველმა პასუხი იმ კითხვასზე, რომელიც ყოველ ადამიანს აწუხებს:

ეს, რა ყოფილხარ, ადამიანო,  
თუ არა ლანდი სწრაფწარმავალი?  
ეს, რა ყოფილხარ კაცთ ნეტარებად,  
თუ არა ფუჭად მოსაჩვენარი  
და წამიერი ზმანება მხოლოდ.

აი, ამ სიტყვებს აწიობს თებელი მოქალაქე, რომელიც ითვალისწინებს თედიპოსის მიერ განვლილ გზას.

თედიპოსი შეილია იოკასტესი და თებეს მეფის ლაიოსისა. ძველ ბერძნებს წესად ჰქონდათ: ვაყი რომ შეეძინებოდათ, მისნებს აკითხვინებდნენ აბალდაზიდებულის სვე-ბედზე. მის-

ნებმა ლაიოსს უმკითხავეს: იგი მამის მკვლელი იქნება და დედის ცოლს შეირთავსო. თავზარდაცემულმა მშობლებმა გადაწყვიტეს შვილის დაღუბვა და გადასცეს მწყემსს ტყეში დასაგდებად. მწყემსს შეეცოდა ბავშვი და გადაგდების მაგიერ თავის მეგობარ მეორე მწყემსს მისცა; ამ უკანასკნელმაც ბავშვი აჩუქა შორეული ფოკიდის უშვილო მეფეს, პოლიბოსს. იზრდება ბავშვი, ვაჟკაცდება, ტოლ-ამხანაგებში გამოირჩევა ტანადობით, მოსრობით, კეთილშობილებით. თავის მამად მას პოლიბოსი მიაჩნია, დედად — დედოფალი მეროპე. რომ დამკვდრეს, მიღებს — წესისდა მიხედვით — სამისნოში იმის გასაგებად, თუ როგორი იქნება მისი ბედი. სამისნოში მას ეტყვიან: მამის მკვლელი იქნები და დედის ქმარიო. ზარგანხდილი ოიდიპოსი აღარ ბრუნდება შინ, სადაც ეგულება მამად პოლიბოსი და დედად — მეროპე. იგი დადის ტყე-ღრე, ნადირობს და იმით ირჩენს თავს.

გავიდა წლები. თებეს მოველინა სფინქსი, რომელიც საშინლად სტანჯავდა თებეს მცხოვრებლებს. ლაიოსი გაემგზავრა კითერონის მთაზე მდებარე პერას ტაძრისაკენ, რათა ეთხოვა ღმერთქალისათვის დახმარება სფინქსისაგან თავის დასაღწევად. გზაზე შეხვდა მას ერთი ქაბუკი, რომელთანაც ლაიოსსა და მის მზღებლებს ჩხუბი მოუხდათ. ამ ჩხუბის დროს ქაბუკმა მოჰკლა ლაიოსი. ეს ქაბუკი იყო ოიდიპოსი, რომელიც გამოეჭა ბედისწერას ფოკიდიდან.

ქაბუკმა განაგრძო გზა. თებეს შესასვლელთან მას დახვდა სფინქსი, რომელმაც გამოცანა მისცა ოიდიპოსს; ოიდიპოსმა მაშინვე ამოხსნა ეს გამოცანა და დამარცხებული სფინქსი იქვე უფსკრულში ჩავარდა. თებეს უხუცესთა საბჭოს დაუდგენია, რომ ვინც განათავისუფლებდა თებეს ურჩხულისაგან, ის განდებოდა თებეს მეფე (რადგან მეფე ლაიოსი დაღუპულიყო) და დაქვრივებულ დედოფალსაც (იოკასტეს) ცოლად მიიღებდა.

ამგვარად, ოიდიპოსმა ორმაგად შესცოდა: მოჰკლა მამა და დედა შეირთო ცოლად. მას ჰგონია, რომ ბედისწერა აიცილია, რომ გამოიქცა ფოკიდიდან, სადაც დასტოვა მამად საგულვეტელი პოლიბოსი და დედად მიჩნეული მეროპე. ბედისწერამ კი თებეს შესასვლელთან უყელა.

ასეა მოთხრობილი ოიდიპოსის თავგადასავალი ბერძნულ მითში.

ამგვარად, ოიდიპოსი თებეს მეფეა. თებელები სიბარული-საგან ცას სწვდებიან, რომ ჰყავთ ასეთი მეფე: ხალხზე მზრუნველი, ხალხისთვის თავდადებული; სასახლის კარები მუდამ ღიაა და ყველას შეუძლია, როცა უნდა, დახმარებისათვის მიმართოს მეფეს.

და, აი, ქალაქში გაჩნდა შავი ქირი. აუარებელი მსხვერპლია, ხალხი გმინავს. და... (ამით იწყება სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“) სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნის ხალხი სასახლეს მოადგება და შევლას სთხოვს ოიდიპოსს. ოიდიპოსს, როგორც მოამაგე მეფეს, უკვე ზომები მიუღია: მას კაცი გაუგზავნია დელფოს სამისნოში საკითხავად. ბრუნდება სამისნოში გაგზავნილი კრეონი. ოიდიპოსის ცოლის ძმა. და მოაქვს მისნის პასუხი — შავი ქირი მუსრავს ქალაქს იმიტომ, რომ ლაიოსის მეკლეღი დაუსჯელად განაგრძობს ქალაქში ცხოვრებას, და ქირი არ მოისპობა, სანამ მეკლეღს არ იპოვიან. ოიდიპოსმა სომ არ იცის, რომ სწორედ ის არის ლაიოსის მეკლეღი. და იგი სიტყვას აძლევს თებელებს, რომ ის უთუოდ აღმოაჩენს მეკლეღს.

სოფოკლეს სურს გვიჩვენოს, თუ როგორ მოიქცევა ძლიერი პიროვნება, აღჭურვილი დადებითი თვისებებით, როდესაც ის პირისპირ აღმოჩნდება კატასტროფულ მდგომარეობასთან. ასეთ დროზე სოფოკლემ დიდის ოსტატობით წარმოვლიდგინა მთლიანობა ძლიერი პიროვნებისა. ოიდიპოსი სახელმწიფოებრივი მეფეა, თავისი ხალხისა და თავისი ოჯახის უზომოდ მოყვარული და უადრესად კეთილშობილი ადამიანი; ხალხისათვის თავდადება მას, ქვეყნის მპყრობელს, თავის უწმინდეს ვალად მიიჩნია. ბრძანება აქვს გაცემული, რომ არავინ შეიფაროს მეკლეღი. ვინც არ უნდა იყოს ხალხის უბედურების მიზეზი, ავით წევროც სამეფო გვარისა, ის მას არ დაინდობს.

პოი ღმერთებო! ვინც ეურჩოს ჩემსა ბრძანებას,

მას მიწა ექმნეს უმოსავლო, ცოლი უძეო...

ბოლოს ერთ ვიტყვი, თუ ჩემს სახლში იმაღის მეკლეღი,

ღე მის თანაბრად წყეულ ვიყო უკუნისამდე.

და ოდიპოსი თვითონ კისრულობს ხალხის თავზე დამტყდარი უბედურების გამოარკვევას და ერთიბეორეზე მიყოლებით არკვევს ყველა წვრილ ცნობასაც კი. როდესაც საქმის ვითარებას ატყობს, რომ უბედურების მიზეზი თვით მისკენ, ოდიპოსისაკენ იკვლევს გზას, და იოკასტეს სურს თავისი ქმარი შეაჩეროს კვლევა-ძიების შუაგზაზე, რათა ბოლომდე არ გამოჰყვანდეს საიდუმლოება, ის მაინც ბოლომდე განაგრძობს მიზეზების რკვევას. ის ქვეყნის მპყრობელია და, როდესაც დედის სამისნომ შემოთვალა — ხალხს იხსნით შავი ჭირისაგან, თუ იპოვით ლაიოსის მკვლელსა, ის ხმარობს ყოველ ღონეს. რომ ეს მკვლელი იპოვოს. გარდა ამისა, ოდიპოსი კეთილშობილი ადამიანია და ზნეობაზე უადრესად მაღალი წარმოდგენის მქონე; ამიტომ, თუმცა არკვევა, რომ მკვლელი თვითონ ყოფილა, მას მაინც ბოლომდე მიჰყავს გამოძიება. ასევე თანმიმდევარია ეს ძლიერი პიროვნება, როდესაც უკანასკნელი ნასკვიც იხსნება და შეღავნდება, რომ ოდიპოსი არა თუ ლაიოსის მკვლელია, არამედ თავისი დედის ქმარი ყოფილა.

ამგვარად, პიროვნება კი ძლიერია, მაგრამ ისიც უძლურია იმ წინააღმდეგობის თავიდან აცილებაში, რომელიც სუფევს ბედისწერასა და ადამიანის, რეალურ შესაძლებლობას შორის. ხოლო მართლაც უაღრესად მძიმეა, რომ ძლიერი პიროვნება, ოდიპოსი, ძლიერივე დარჩა კატასტროფის გამოარკვევის შემდეგაც: მან გამოიჩინა საკმაო ნებისყოფა, რომ გამოესყიდა დანაშაული, თუმცა ის თავისდა უნებურად ჰქონდა ჩადენილი.

„ოდიპოს მეფის“ წინამდებარე თარგმანი შესრულებულია პოეტ დავით გაჩეჩილაძის მიერ. ჩვენთვის (და ყოველი ერისთვის). რასაკვირველია, იდეალს წარმოადგენს, რომ უცხო ენიდან ნაწარმოების მთარგმნელი ფლობდეს დედნის ენას. ასალი ენების (გერმანულის, ინგლისურის, ფრანგულის...) მიმართ ეს ხერხდება, მაგრამ ძველი ენების მიმართ ჯერჯერობით იშვიათად ხერხდება, რომ ლიტერატურული ძეგლები თარგმნოს ისეთმა პოეტმა, რომელიც კარგად ფლობს ბერძნულს ან ლა-


თინურს. საქმე უფრო სწირად იმით მთავრდება, რომ ჩვენი პოეტები თარგმნიან რუსულიდან. ხოლო ბერძნულ ან ლათინურ ნაწარმოებს სწირად თარგმნის ამ ენების მცოდნე, მაგრამ არა პოეტი.

ჩვენს შემთხვევაში საქმე ასე გადაწყდა: არსებული რუსული თარგმანების მიხედვით „ოიდიპოს მეფე“ თარგმნა დ. გაჩეჩილაძემ. რომელიც ჩვენში ცნობილია როგორც ქართული ლექსის ოსტატი და მაჩაბლისეული თოთხმეტმარცვლოვანას გამოყენებით წარმოგვიდგინა სასიამოვნოდ მედერი, კარგი ქართული გამოთქმებით მდიდარი და ტრაგიკული გუნება-განწყობის შემკმნელი ლექსი. ჩვენი როლი იმაში გამოიხატა, რომ დ. გაჩეჩილაძის თარგმანის რედაქციის დროს წინ გვედვა „ოიდიპოს მეფის“ ბერძნული ტექსტი და თუ საღმე შევამჩნევდით სოფოკლეს აზრიდან რაიმე დაშორებას, ვასწორებდით.

დ. გაჩეჩილაძე ბრმად არ მისდევდა სოფოკლეს ტექსტს. ზოგჯერ ქართული შეგარძნების შეფარდებით მას გადაადგილებული აქვს ბერძნულ პერიოდთა ნაწილები, ზოგჯერ კიდევ ბერძნულში სწირად ხმარებული და იმ ეპოქის მასუბრებლისათვის შესაფერი „ვაი. ვაი“. ან მსგავსი შეძახილები ქართული ენისათვის და ჩვენი ეპოქისათვის შესაფერი გამოთქმით არის შენაცვლებული, ასე რომ. დ. გაჩეჩილაძის თარგმანი დედნის აბსოლუტურ დამთხვევას არ ამკლავებს. მაგრამ ამ თარგმანში, ჩვენი შეგარძნებით. ვადმოცემულია ეპოქის სული და ჩვენს თეატრში ამ ტრაგედიის დადგმის წარმატება იმითაც აიხსნება, რომ სრულიად არ იგრძნობა, რომ „ოიდიპოს მეფის“ ქართული ტექსტი თარგმანია: — ყლერს როგორც თარიგინალი.

ს ი მ ო ნ   ყ ა უ ხ ი ი შ ვ ი ლ ი

ᄀᄀᄀᄀᄀᄀ ᄀᄀᄀᄀ



## მოქმედი პირები

ოიდიპოსი — თებელთა მეფე

იოკასტე — მისი ცოლი

ანტიგონე — } მათი უწლოვანი ასულნი  
ისმენე — }

კრეონი — დიდებული, იოკასტეს ძმა

ტირესია — ბრმა მოსუცი, მისანი

კორინთელი მოამბე

ლაიოსის მწყემსი

იოკასტეს მხევალნი

ხორო — თებელი უხუცესნი

ჭურუმნი, ყრმანი და ქაბუკნი; მოახლე ქალები;

ოიდიპოსის ამაღა

[მოქმედება წარმოებს თებელ მეფეთა სასახლის წინ, მთავარი შესავალი კარის ორსავ მხარეს აღმართულია საკურთხეველები და მფარველ ღმერთთა გამოსახულებანი: ზევსი, აპოლონი, ათენა პალადა და ჰერმესი.

მარჯვნივ, ქალაქისაკენ ეშვება გზა, საიდანაც მოისმის მავედრებელთა ნაღვლიანი ვალობა.]

სასომიხდილთა გმინვა-ვაება თანდათან ახლოვდება და სცენაზე შემოდიან თებეს მოქალაქენი. ყოველ მათგანს ხელში ზეთისხილის რტო უჭირავს...

[უფროსი ჭურუმის უსიტყვო ბრძანებით საკურთხეველებს ირგვლივ შემოერთყმიან და რტოებს საფეხურებზე დააწყობენ.

ამ დროს სასახლიდან გამოდის ოიდიპოს მეფე, თვალს გადაავლებს საკურთხეველებთან შემოკრებილთ და ღრმა თანაგრძნობით ხალხს მიმართავს.]

ო ი დ ი ბ ო ს ი — ჰე, ხალხნო, ძველი მამამთავრის კადმოსის  
შვილნო!

რას დანხოზობილხართ სალოცავი რტოებით ხელში,  
ან იქ მთელ ქალაქს რატომ ნისლავს გუნდრუკის კვამლი?  
ყოველი მხრიდან მესმის გმინვა და ღალღისი...  
არა სხვათაგან მსურს მეუწყოს, არამედ თქვენგან  
და ამისათვის, შვილნო ჩემნო, თვითონ გამოველ  
ოიდიპოსი, თქვენგან ასე განდიდებული.

შენ თქვი, მოხუცო, მათ მაგიერ სიტყვა შეგფერის:  
ჩემი სახლის წინ რად მოსულხართ? მარტვი მიზეზი: —  
შიშვა შეგყარათ თუ ძიებამ სასოებისა?

განა გულქვა ვარ, თქვენი თხოვნა არ შევიწყნარო!

ქ უ რ უ მ ი — ჰე, თიდიპოს, მეუფეო ჩემის მამულს!  
თვითონ შენც ხედავ ხალხი შენს წინ ვით დანხოზობილა...  
ჰა, ჩვილნი ყრმანი, ჰერ მარ თვენი ფრთააუღსხველნი...  
აგერ ჭაბუკნი ათასებში გამოორჩეულნი...  
აგერ მოხუცნიც, ყამთა ტვირთქვეშ წელში მოხრილნი,  
ისე, როგორც მე, უზენაეს ზევსის მსახური, —  
ხოლო იქ სხვანი, ზეთისხილის რტოებით ხელში,  
ათენას ორსავ საკურთხეველს გარს შემორტყმიან,  
ზოგნიც ისმენეს სამკითხაო ნაცარს ჩასცქერენ.

რისთვის მოესულვართ? იღუპება ქალაქი, მეფევი!  
სისხლის მორევეში ჩაძირული იხრჩობა ხალხი...  
თესლშივე ლბება მოსავალი, ბალახიც ხმება,  
წყდებიან ჯოგნი, უღღეო შვილთ შობენ დედანი...  
ღმერთმა რისხვისა ხალხს შეჰყარა კიბრი საზარი.  
ცარიელდება ძველი სახლი კადმოსიანთა,  
როს მკვდართა სულებს ვერღა იტევს ჰადესი ბნელი.

განა იმიტომ მოგაშურეთ, რომ ღვთის სწორი ხარ...  
ნაგრამ, მეფეო, კაცთა შორის შენ ხარ პირველი,  
ვისაც შეწევნა უნდა ვთხოვოთ ავბედობისას,  
ღვთის მრისხანების თუ საწუთროს სიმუხთლის ყამსა.  
შენ ის კაცობარ, ვინცა მოხველ და ამოხსენი

58481-  
21143

შავი ურჩხულის ამოცანა ძნელმისახვედრი,  
რითაც ჩვენ მისი მონობისგან გვათავისუფლე...  
მაშინ, მეფეო, შენ არავინ არ შეგწეენია,  
სძლიე ურჩხული მარტოოდენ ღვთის შთავონებით.  
ეხლაც გვიშველე, თიდიბოს, მეფეე ძლიერო!  
ან უკვდავ ღმერთებს შეეკითხე, ან მოკვდავს ბრძენსა...  
გამოცდით ვიცო, სოგჯერ სიტყვა ჭირნახულ კაცთა  
განსაცდელიდან გამოსავალ გზას გაპოვნინებს.

მეფეო, სიბრძნით და სიქველთ სწორუბოვარო!  
ისსენ ქალაქი, ისსენ შენი სახელ-დიდება...  
აბა დაფიქრდი, თვის გამომხსნელს გიწოდებს ხალხი,  
და იგივე ხალხი თუ შენს თვალწინ დაიღუპება,  
შენი სახელიც წარიშლება სამარადისოდ.


გთხოვ: აღადგინე ეს ქალაქი იავარქმნილი...  
დე როგორც მაშინ, შენი დიდი სიბრძნის წყალობით,  
კვლავ დაგვიბრუნე დაკარგული ბედნიერება...  
სჯობს უდაბნოში ხელწიფებას ხალხზე იმეფო;  
რად გინდა ციხე, ან ხომალდი უკაცრიელი?

ო ი დ ი შ ო ს ი — ო, საყვარელნო, შეიღწო ჩემნო, რაჩიგ  
მებრალვით!

მესმის აქ რატომ შეკრებილხართ, ან რას მავედრით...  
ვხედავ, თუ როგორ იტანჯებით, მაგრამ მერწმუნეთ,  
რომ ტანჯვას თქვენსას ჩემი ტანჯვა აღემატება...  
თვითთულ თქვენგანს მხოლოდ თვისი აქუს საწუხხარი,  
ხოლო მე ვწუხვარ თქვენთვის, ჩემთვის, ამ ქალაქისთვის...  
არ ვსაქიროებ გაღვიძებას... მე როდი მძინავს...  
თვალს ცხარე ცრემლი არ ასვენებს, გულს მწუხარება...  
გონების თვალთ მოვიხილე მოსახილველი  
და ბოლოს ერთი მივიჩნიე გზად თქვენი ხსნისა...  
ჩემი ცოლისძმა, თვითონ კრეონ მენეოკის ძე.  
ფეხსის-ჭაბრად სამისნოში უკვე წარგვზავნე.

რად გინდა, კვითხოს, რა ვიღწოთ თქვენდა საშველად.  
მას თი ვერ ვხედავ.

ბასუხით მოვა,  
აღვასრულო.



ქ უ რ უ მ ი — კარგ დროს ახსენე. აგერ ისიც გვიახლოვდება...

(ოიღიბოსი სწრაფად იქით შებრუნდება, საითაც ხალხი ვასცქერის. მისი ნაღვლიანი განწყობილება თანდათან ქრება).

ო ი დ ი ბ ო ს ი — ღმერთო ძლიერო! თუ ამბავიც მოაქვს კეთილი როგორც კეთილად იმას სახე გაბრწყინდება...

ქ უ რ უ მ ი — ეტყობა მოდის კარგი ამბით, ერთი შეხედეთ: ცუდის მოამბე დაფნით თავს არ დაიმშვენებდა.

ო ი დ ი ბ ო ს ი — ეხლავ გავიგებთ, მოახლოვდა... ბატონო ჩემო! უსაყვარლესო ცოლისძმავო, მენეოკის ძვე! ღვთისგან რა სიტყვა მოიტანე?

კ რ ე ო ნ ი — საბედნიერო...

როგორც მე ვფიქრობ, ყოველივე თუ შესრულდება, ეს განსაცდელი, ჩანს, ყოფილა საბედნიერო...

ო ი დ ი ბ ო ს ი — (მოუთმენლად)

ღმერთი რას ბრძანებს? ყველაფერი გარკვევით გვითხაჲ, ჯერ კი არ იქნა, შიში გვექონდეს თუ სასოება?

კ რ ე ო ნ ი — (ორპოფად) იქნებ სჯობია სასახლეში განცალკევება...

აქ ხომ არ გეტყვი?

ო ი დ ი ბ ო ს ი — (მტკიცედ) აქვე მითხარ! ხალხის წინაშე.

ეხლა ამათზე უფრო ვწუხვარ, ვიდრე ჩემს თავზე...

კ რ ე ო ნ ი — მამ მოგახსენებთ... ყოვლისშემძლე აპოლო ბრძანებს,

რომ ბოროტება, ჩვენს მიწაში ფესვებგადგმული, აღმოვფხვრათ, ვიდრე უკურნებელ სენად იქცევა... და განვიწმინდოთ...

ო ი დ ი ბ ო ს ი — განვიწმინდოთ?.. მაგრამ სად არის ეგ ბოროტება, ანდა მისგან ვით განვიწმინდოთ?

კ რ ე ო ნ ი — უნდა განვღვენოთ ვინმე მკვლელი, ვიძიოა. მტკრი...

ღუპავს ქალაქსა მისი ხელით დაღვრილი სისხლი.

ო ი დ ი ბ ო ს ი — სისხლი? რომელი? ვის გვანიშნავს.

კ რ ე ო ნ ი — მეფეო, ვიდრე ჩვენს მბრძანებლად ვინ მოკლულად იქნა?

მოხვიდოდა.

აქ მეფედ გვყავდა ლაიოსი...

ოიდიპოსი — გამიგონია...

მაგრამ ნახვით კი არ მინახავს...

კრეონი — იღუმლად მოჰკლეს...

აწ ღმერთი ბრძანებს, მოვაკვლინოთ ან განვაძევოთ  
ბოროტი მკვლელნი...

ოიდიპოსი — ეხ, ვინ იცის სად გადიკარგენ?

ვინღა იბოვოს კვალი ძველი აგვაცობისა?

კრეონი — ღმერთმა თქვა: — ჰპოვებთ თუ ეძიებთ, თქვენს

შორის ჰპოვებთ,

დაუდევრობის ჩრდილში არის შემალულიო.

ოიდიპოსი — და მერე იგი სად მოუკლავთ, სახლში თუ

გარეთ,

ჩვენსაც თუ უცხო ქვეყანაში?

კრეონი — როგორც თვით უთქვამს,

თურმე დელფოში სამკითხაოდ გამგზავრებულა,

აქეთობას კი იგი თვალით არვის უნახავს.

ოიდიპოსი — ნუთუ ხელმწიფის მხლებელთაგან არვინ

გადაჩნა?

იქნებ შეგვეტყო სინამდვილე.

კრეონი — არა; მეფეო,

ყველა დახოცეს, ერთის გარდა, მაგრამ იმ ერთსაც

შიშით ლტოლვილსა ვერაფერი ვერ უამბია.

მხოლოდ ლულულით აღმოუთქვამს...

ოიდიპოსი — რა აღმოუთქვამს?

ზოგჯერ წვრილმანიც ფარდას ახდის იღუმალებას,

თუ ამ წვრილმანში სინამდვილის ნატამალია.

კრეონი — აღმოუთქვამს, რომ მკვლელი მეფე ლაიოსისა

ერთი კი არა, ავაზაკთა მთელი ბრბოაო.

ოიდიპოსი — თუ არ ცდუნება მომსყიდველის ოქრო-

ვერცხლითა

ვეჰვობ, ეს საქმე ავაზაკთაც რომ გაეხედათ.

კრეონი — ჩვენც ეგ ვიფიქრეთ, მაგრამ ყველას თავგზა

აგვებნა,

არცვინ გამოჩნდა ლაიოსის სისხლი აედო.

ოიღიპოსი — (წყრომით)

ეგეც მაქვებს. როგორ, მოჰკლეს თქვენი ხელმწიფე და თქვენ გულბელი დაიკრიფეთ, არც მოიძიეთ?

კრეონი — ვერაგმა სფინქსმა თავსდატეხილ უბედურებით იძულებულგვყო მკვლელის ძებნა დაგვეიწყებოდა.

ოიღიპოსი — ჩემი ვალია ბოროტების ვპოვო სათავე, აღმოვაჩინო მკვლელი მეფე ლაიოსისა...

გმაღლობ, აპოლო, დიდო ღმერთო! გმაღლობ შენც, კრეონ,

რომ უმწურო მკვლარს ღირსეულად გამოესარჩლეთ...

თქვენს სამართლიან მოკავშირედ მიგულვით მეცა, — მინდა ღვთისა და სამშობლოსთვის ვიძიო შური.

როს მოსწრადე ვარ ამ სიბილწის ლაქა წარვხოცო,

ჩემს თავზეც ვფიქრობ... ლაიოსი ვინც მოაკვდინა,

ხომ შესაძლოა მან ჩენზედაც აღმართოს ხელი?

ლაიოსისთვის შურისგებით ჩემს თავსაც ვიცავ...

წარვედით, შვილნო! აწ დასტოვეთ ეს საფეხურნი

და სალოცავი წმინდა რტონიც წარიღეთ თანა.

ამენეთ, რომ ესლაჟ აქ შემოკრბენ კადმოსიანნი...

ნზად ვარ ყოველი აღვასრულო და ღვთის შეწყევნით

აწ ბედნიერ გყოფთ, ანდა თქვენთან დავიღუბები.

(ოიღიპოსი თავს აღერსიანად დახრის, ხალხს ეთხოვება. ხალხი მოწიწებით გასცქერის სასახლისკენ მიმავალ მეფეს).

ქურუმი — წარვედით, შვილნო, ჩვენ აქ მისთვის

შევიკრიბენით,

რათა გაგვეგო, რაც ხელმწიფემ, თვით განგვიცხადა.

დიდო აპოლო, წმინდა სიტყვის წარმომგზავნელო,

გთხოვთ შეგვიბრალო და აღვაგო ჭირი საზარც.

(ყველანი საფეხურებზე დაწყობილ რტოებს აიღებენ და უფროს ქურუმს უკან გაჰყვებიან. სცენა ერთხანს ცარიელია. შემდეგ ნელი ნაბიჯით ერთმანეთს შემოჰყვება თხუთმეტი უხუცესი — ხორი — თებეს დიდებულნი და ოიღიპოსის მრჩეველნი).

ქორო — ჰოი, შენ ღმერთო, აპოლ მეტყველო!

ოქროდ ელვარე დელფოს მღვიმიდან

დღეს რა აუწყე დიდებულ თებეს?

შეშფოთებულნი ვართით და ვკანკალებთ...

შენ გეკითხებით, დელოსის ღმერთო, —  
რას ითხოვ ჩვენგან, ლოცვებს ახალსა  
თუ ძველი წესით მომსახურებას?  
დე გვესალბუნე, უკვდავთა სიტყვავ,  
ძეო უწმინდეს სასოებისა...

ყველაზე პირველ შენ გვედრებით,  
ჰოი, ათენავ, ზევსის ასულო!  
შენც, არტემიდევ, ქეცენის მფარველო,  
დარბაზობისას შეამაღლებულ  
და გაბრწყინებულ ტახტზე მგდომელო!  
შენც, დიდებულო ფებოს აპოლოვ,  
ისართმტყორცნელო, სწორუბოვარო!  
დე მოგვეშველეთ, ღმერთნო მაღალნო!  
და როგორც წინათ, ცეტხლი ვაების  
თებეს ძველ ქალაქს კვლავ განაჩიდეთ...

ღმერთნო! დიდია ეს განსაცდელი:  
სენი მზარავი უწყალოდ გეცელავს,  
ხოლო გონება დაჩლუნგებულნი:  
განმკურნელ წამალს ვერღა პოულობს...  
უმწიფრად ქცნება ნაყოფი მიწის...  
ქალნი ტკივილით მშობიარობის  
იღუპებიან და მკვდართა სულნი,  
ვითა ყიფყავნი, მკვირცხლად მფრინავნი,  
მიისწრაფვიან ნისლიან შორეთს,  
მარადი მწუხრის სამეუფოსა.

დაუტირალნი, დაუმარხავნი,  
მიწაზე ჰყრიან საბრალო მკვდარნი  
და მათი ხრწნაა სიკვდილის სუნთქვა...  
ხოლო დედანი თმაქაღარანი,  
თვის რძლებთან ერთად ხელაპყრობილნი,  
ღვთის საკურთხევლებს ირგვლივ უვლიან  
და გულამოსკენით შეჰლაღადებენ...

ო, დიდებულო ზეგის ასულო,  
მფარველად ექმენ უმწეო ხალხსა.

დე მძვინვარების ღმერთი არესი,  
რომელსაც ჩვენზე, ნაცვლად მახვილის,  
დღეს მოუმართავს ქირი მმუსსტრელი  
და მზარავი ხმით დაგვძახის. თავსა,  
ამა ქვეყნიდან შორს გარდახვეწე,  
ან ამფიტრიტეს ვრცელ სამყოფელში,  
ანუ თრაკიის ნაპირს კლდოვანსა...  
თორემ, ვინც ღამეს შეჰბრალებია,  
იძას დღე გვტაცებს შავღრუბლიანო...  
ზეგსო, მპყრობელო ელვა-ქექისა,  
დაე განმეხე მკაცრი არესი.

შენც, ლიკიელო ღმერთო შაღლო!  
დაე მოზიდე მშვილდი ოქროსი  
და სტყორცნე არესს მკვეთრი ისარი...  
შენც, არტემიდევ, ხელში ყინყდილით  
ლიკიის მთებზე ლაღად მფრინავო,  
უწმინდეს შუქით დააფრთხე იგი...  
შენცა, ბახუსო, სახელაყლაყავ!  
თავზე რომ გზურავს ნიტრა ოქროსი,  
მენადთა გუნდით გარსშემორტყმულო,  
ცეცხლი შეუწთე, დასწვი, დადაგე  
ზენაართ შორის უღირსი ღმერთი.

ო ი დ ი პ ო ს ი — (შემოდის)

ილოცეთ, შვილნო! თქვენს ვედრებას ისმენენ ღმერთნი...  
შევებას მოგფენენ და ტკივილი დაგამდებათ,  
ჩემს ბრძანებასაც მოაჩილებით თუ აღასრულებთ...  
ამას მოითხოვს საშინელი ეს ვითარებაც.  
რაც აქ მოვედი არტთუ ისე დიდი ხანია...  
ჩემთვის ეს საქმეც უცხო არის და ეს ამბავიც,  
და, რა თქმა უნდა, მკვლელის პოვნა გამიძნელებს,

ოდეს არა ჩანს არსად კვალი არავითარი.

ჰოდა, ამიტომ მწედ მექმენით, კადმოსის შვილნო!  
თუ ვინმემ უწყის მკვლელი მეფე ლაიოსისა,  
ვთრჩევ გულახდით განაცხადოს ჩენს წინ ყოველი.  
თუნდაც თვით იყოს მეფის მკვლელი, ხელსაც არ  
ვახლებ,

მხოლოდ ქვეყნიდან გაძევებას დაედებ სასჯელად.  
თუ მკვლელი არის სხვა ქვეყნიდან, უცხო ტომისა,  
ესეც მაუწყეთ, — მთქმელს მიეზღოს ჯილდო მეფური  
და არასოდეს არ მოაკლდეს ჩემი წყალობა.  
ხოლო თუ ვინმე ჩემს ბრძანებას არ აღასრულებს  
ან მეგობრისა ან თავისი დაღუპვის შიშით,  
კადმოსის შვილნო, მოისმინეთ ეს განჩინება:  
ვინც უნდა იყოს იგი მკვლელი ჩენს სამეფოში,  
არცა განტეხოთ მასთან პური, არცა ხმა გასცეთ,  
არცა აღიროსთ განსაბანად წყალი ნაკურთხი,  
ნსხვერპლის შეწირვის თუ ლოცვის დროს შორს  
განირიდეთ,

ყველგან დაეხშოს სახლის კარი, ვით კეთროვანსა  
და მიზეზს ჩვენი საწინელი უბედურების.  
ამრიგად მწადის ვიყო ღმერთის თანამდგომელი  
და ლაიოსის სიკვდილისთვის ვიძიო შური.  
თვითონ განსაჯეთ, რომც არ იყოს ღმერთის ბრძანება,  
განა შეგფერით შეარჩინოთ მკვლელს სისხლი მეფის,  
ვგზომ კეთილის და საქვეყნოდ სახელმორქმულის?  
დღეს მისი კვერთხიც მე მიპყრია, მისი ქვეყანაც.  
მისი მეუღლის სარეცელიც გავიზიარე  
და ჩვენ შვილებიც ხომ საერთო გვეყოლებოდა,  
რომ უძეობით უბედური არ ყოფილიყო...

რაკი ყურს ჩამწედა, რა საზარლად მოუკლავთ იგი.  
მასზე ვიზრუნებ, როგორც ჩემთვის ძვირფას მამაზე.  
ყოველს ვიდონებ, ვპოვო მკვლელი ლაიოსისა,  
ავილო სისხლი, ლაბდაკოსის, პოლიდოროსის,  
კადმოსისა და პაპის პაპა აგენორისა.

მაშ მომეხმარეთ, შვილნო ჩემნო, და ეს აამებს  
მაღალ ღმერთებსაც, თქვენს მეფესაც, თქვენს ქვეყანასაც,  
მძვინვარე სენით და სიბერწით იავარქმნილსა.

ჰოი, ღმერთებო! ვინც ეურჩით ჩემსა ბრძანებას,  
მას მიწა ექმნეს უმოსაელო, ცოლი უძეო...

ხოლო მათ, ვინცა აღმინართლონ გულისწადილი,  
დაე ფარვიდეს ზენაართა მართლმსაჯულება.

ბოლოს ერთს ვიტყვი, თუ ჩემს სახლში იმაღვის  
მკვლელი,

დე მის თანაბრად წყეულ ვიყო უკუნისამდე.

(ხანგრძლივი პაუზა. უსუცესნი სმადებლა თათბირობენ, რის შემდეგაც პირველი უსუცესი ოიდიპოსს მიმართავს).

პირველი უსუცესი — ეგ შენი წყევლა უნებელ არს  
ჩვენზე, მეფეო!

არცა მოგვიკლაგს, არცა ვუწყით ვინ არის მკვლელი.

სჯობდა აბოლოს სიტყვა ეგე ძნელმისახვედრი  
თვით ამოეხსნა...

ოიდიპოსი — მაგრამ მოკვდავთ არ შესწევთ ძალი,  
უკვდავთ სიმართლე გამოსტაცონ, თუ მათ არ ნებავთ.

ხორო — კიდევ ნეორეს მოგახსენებ... მე როგორც ვფიქრობ...

ოიდიპოსი — იყოს მესამეც, არაფერი არ დამიმაღროთ.

ხორო — მეფევ, შენც იცნობ ტირესიას, ჩვენს მოხუც  
მისანს, —

იგი ბრძენია, ვით აბოლო გულთამხილველი,

დაე მას ვკითხოთ და ყველაფერს უცდომლად გვეტყვის.

ოიდიპოსი — არც ეგ გამომჩია, მისი ქება კრეონმაც  
მითხრა...

ორჯერ შეკრიკი გავუგზავნე, მაგრამ არ მოდის...

საკვირველია...

ხორო — ეხ, აქ მაშინ რას არ ამბობდნენ...

ოიდიპოსი — ჰო, რას ამბობდნენ? ძვირფასია ყოველა  
სიტყვა.

ხორო — ამბობდნენ, თითქოს ლაიოსი მგზავრებს მოეკლათ...

ოიდიპოსი — ეგ მეც მსმენია, მაგრამ მოწმე არავინ გაჩნდა.

ხორო — ოდეს შეესმის შენი რისხვა, ესდენ საზარი,

თავს ვერ დავალავს, თუკი ოდნავ შიში სჩვევია.

ო ი დ ი პ ო ს ი — ვინაც კაცსა ჰკლავს, კაცის სიტყვაც ვერ  
შეაშინებს.

✓ ხ ო რ ო — ჰა, იგი მოჰყავთ, კაცი ღვთისა, ნათელმსილველი,  
ვინც მართალ სიტყვით ბნელს განაბნევს და მკვლელს  
ამსილებს,  
ვის გულშიც ცხოვრობს მხოლოდ ერთი ქვეშაირიება.

(სცენაზე წელი ნაბიჯით შემოდის ბრმა ტირესია. იგი ღრმა მო-  
ხუცია. ერთ ხელში ყავარჯენი აქვს, ხოლო მეორე ხელით მოსკიდუ-  
ბია ბავშვს, რომელიც წინ მოუძღვება. საგრძნობია, რომ ტირესიას  
აქ მოსვლა არ უნდოდა... ზოგჯერ შედგება, ფიქრობს: ხომ არ  
აჯობებს უკან გავებრუნდეთ... თიღბოსი ტირესიას ღიღი პატივით  
შეეგებება).

ო ი დ ი პ ო ს ი — ბრძენო მოხუცო, გრძნეულებით ყოვლის  
შემცნობო!

აღმომკითხველო ცის და მიწის იღუმალების,  
თუმიც თვალით ბრმა ხარ, სულით განსჰგრაფტ  
მიუწვედომელსაც.

შენც კარგად უწყი, კადმოსელებს რა ჰირიც მუსრავს,  
მაგრამ არ უწყი, ჰე, მოხუცო, რომ შენ ხარ ერთი,  
ამ განსაცდელში განწირულთა მსახობელი.

აღბათ შენც გითხრეს ზენაარი ღმერთის ბრძანება:  
როს ლაიოსის მკვლელს შეიპყრობთ და მოაკვდინებთ,  
ან განაძევებთ, მხოლოდ მაშინ გეშველებათო. —

იქნებ ფრინველზე მკითხაობით ან სხვა მისნობით  
შეიცნო მკვლელნი, ცოდვათაგან რომ განვიწმინდოთ  
და ამით იხსნა შენი თავიც, ხალხიც და მეფეც.

არა არის რა ამა ქვეყნად უფრო მაღალი,  
ვიდრე შეწევნა მოყვასისა, თუ ამას შესძლებ...

○ ი რ ე ს ი ა — (ნაღვლიანად, თავისთვის)

~~პოთსი მართლევ! შენ ტვირთი ხარ ამოებვის,~~  
მთქმელისთვის მუდამ სანაწარმო... მე ეს ვოცოდი  
და მაინც შევცდი, თორემ შენთან არ მოვიდოდი.

ო ი დ ი პ ო ს ი — ამას რად ამბობ, ან რადა ხარ ეგრე  
მკმუნვარე?

ტირესია — გირჩევ გამიშვა... რომ ვატაროთ უფრო  
მსუბუქად

მე ჩემი სიბრძნე, შენ კი — შენი უბედურება.

ოიდიპოსი — ურიგოდ მსჯელობ. შენც ამ ქვეყნის შვილი  
ხარ ეგონებ...

შვილი კი მშობელს კეთილ სიტყვას არ დაამადლის.  
სიპართლე იცი და გვიმაღავე?

ტირესია — შენ ეგრე ფიქრობ?

მაგრამ შენ ამით იახლოვებ თავის დაღუპვას...

და რომ მეც თავი არ წავაგო...

(წასვლას დაპირებს. უხუცესნი ტირესიას წინ დაუჩოქებენ,  
ევედრებიან).

ხორო — გაფიცებთ ღმერთებს!

აი, მუხლს ვიყრიტ შენს წინაშე, ყოვლის მცოდნეო!  
გთხოვთ, გაგვიმწყლავნე.

ტირესია — არასოდეს... თქვენ ყველა სცდებით...

ჩემი გულის ცეცხლს რომ გზა მივცე, ხომ გადიბუგეთ?

ოიდიპოსი — რაო? იცი და არ გვიმყლავნებ?... იქნებ

გვლაღატობ...

იქნებ შენ გინდა ეს ქალაქი მთლად აღიგავოს?!

ტირესია — კრინტსაც არ დავძრავ, რომ სიპართლემ არც  
მე დამღუპოს

და არც შენა გყოს უბედური...

ოიდიპოსი — (განრისხებული)

ბოროტო კაცო,

შენი სიკვრპე გულის კი არა, ქვას აღაშფოთებს...

მაშ არას მტყვი?

ტირესია — (მუილად) რად მაყვედრი, რომ განგარისხე?

ოდეს ღვთის რისხვა თვით შენშია, შენ კი ვერ ხედავ...

ოიდიპოსი — განა ვინ არის მისმა ქცევამ არ განარისხოს,

ვინც თავის ქალაქს უმადურად ზურგი აქცია?

ტირესია — (ღრმად ჩადიქრებულად)

სჯობია ვღუმიდე... ხელწმიდევო, დარეკავს ყამი

და თავისთავად გამყლავნდება ეს საიდუმლო.

ოიდიპოსი — ჰოდა, ეგ მითხარ, თავისთავად რა

ტირესია — მეტს არას გეტყვი. შენ კი, მეფევე, თუ ასე  
გნებავს,

დაე გაცეცხლდი, ცოფი ჰყარე და იმპინვარე...

ოიდიპოსი — იმპინვარების ჟანს მეტ სიმაართლეს  
აღმოთქევამს გული...

პირში მოგახლი, რასაც ვფიქრობ... ვგონებ, მოხუცო,

თვითონ ამ საქმის ხარ მოთავეც და მონაწილეც,

თვითონ შენა ხარ იმ ავაზაკთ თანამშრომელი...

მხოლოდ ესაა, არ მოგიკლავს საკუთარ ხელით.

და რომ არ იყო მთლად მიხრწნილი, ბრმა, უსინათლო,

მაშინ ვიტყოდნი, რომ ხელმწიფე შენ ერთმა მოჰკალ...

ტირესია — (წასვლას აპირებს, მაგრამ უცებ შემობრუნდება. მრის-  
ხანედ)

ეგრება განა? მაშ გიბრძანებ, გაგვშორდი, მეფევე!

ეხლავ დაგეტოვებ, რომ შენს თავზე აღსრულდეს მსჯავრი,

ბოროტ მკვლელთათვის შენ მიერვე განჩინებული...

რადგან ამ მიწის წამბილწველი შენა ხარ თვითონ!..

ოიდიპოსი — რა თქვი, ბებერო? უსირცხვილოდ რა ცილსა  
მწამებ?

იქნებ გგონია გადაუტრჩე ჩემს მრისხანებას?..

ტირესია — უკვე გადუფრჩი, სიმაართლეა ჩემი ჯავშანი.

ოიდიპოსი — თქვი, ეს ვინ გითხრა? რა თქმა უნდა, სხვამ  
ჩაგავონა...

ტირესია — შენ ჩამავონე... მათქმევიჩე ჩემ უნებურად.

ოიდიპოსი — რა გათქმევიჩე? თქვი მეორედ... კარგად ვერ  
მივხედი...

ტირესია — განა ვერ მიხვდი? მაგრამ გინდა სხვაც  
მათქმევიჩე.

ოიდიპოსი — თითქოს ქარაგმით ლაპარაკობ, თქვი  
უფრო ნათლად!

ტირესია — შენ რომ ეძიებ, იგი მკვლელი შენა ხარ  
თვითონ...

ოიდიპოსი — გესმის, ბებერო, ორგზის ჩემი  
შეუტრაცხყოფით

სასჯელსაც ორმაგს იმსახურებ...

ტ ი რ ე ს ი ა —

გინდა სხვაც გითხრა?

რომ ბარემ ცეცხლი შეეუკეთო შენს მძვინვარებას?

ო ი დ ი ბ ო ს ი — დაე იყბედე, რა ფასი აქვს შენს აბღაუბდას...

ტ ი რ ე ს ი ა — ო, რა სასწარეღ კავშირით ხარ შეერთებული  
სწორედ იმასთან, ვისაც შენგან ხამს თაყვანება.

ო ი დ ი ბ ო ს ი — არა, ამ სიტყვებს ვერ შეგაჩინენ...

ტ ი რ ე ს ი ა — თუ მართალს ვამბობ?

ო ი დ ი ბ ო ს ი — შენში სიმართლე აღარ არის... რადგან შენ  
ბრმა ხარ,

ცხადია, ჭკუაც დაგიბნელდა, სმენაც დაგეხშო...

ტ ი რ ე ს ი ა — დაიმახსოვრე, როგორც ესლა შენ მე დამხატე,  
სულ მალე სცნობენ, რომ შენა ხარ სწორედ ასეთი...

ო ი დ ი ბ ო ს ი — როგორ დავსაჯო თვალხილულმან, შეიღმან  
მზისამან,

იგი, ვინც მარად უკუნეთში დაეხეტება.

ტ ი რ ე ს ი ა — არც მიწერია შენგან მოგვედე და თუ ვაბედავ,  
ჩემი მოკვლისთვის თვით აპოლო იძიებს შურსა.

ო ი დ ი ბ ო ს ი — თქვი, ვინ მოჩიხაბა ეგ სიცრუე, შენ თუ  
კრეონმა?

ტ ი რ ე ს ი ა — არც მე, არც იმან. შენი თავის თვითონ ხარ  
მტერი...

ო ი დ ი ბ ო ს ი — ჰოი, გვირგვინო! სიმდიდრეო!  
სახელ-დიდება!

ცრუ და მშფოთვარე საწუთროში ყველაზე ტკბილნო...

თურმე უწმინდეს კაცის გულშიც გველს ასაზრდოებთ.

მე ეს გვირგვინი განა გთხოვეთ, თქვენ გადმომეცით  
და ჰა, კრეონი, მეგობარი ჩემი ერთგული,

მზაკვრობით ლამობს, რომ წარმტაცოს მე ხელმწიფება...

ცხადია, იმან ჩააგონა, ეს გაიძვერა!

ჭორების მთხველი, მატყუარა, ვერცხლისმოყვარე,  
როზელიც თავის გასამრჯელოს წინასწარ ხედავს,

ხოლო ვერ ხედავს და ვერც ახსნის, რაც ევალება...  
აბა, ბებერო, თქვი, სად ნახეს შენი მისნობა?

განა შენ იხსენ ხალხი ფრთოსან ურჩხულისაგან,  
როს იგი ქალაქს თავზარს სცემდა ალგვის მუქარით,

თუ მის იღუმალ ამოცანას ვერ ამოხსნიდნენ?  
მაშინ სჭიროდა ხალხს მისანი, ბრძენი, გულადი,  
მაგრამ, ბებერო, არც ღმერთებმა, არც ფრინველებმა  
არა გითხრეს რა, და ჰა მოველ ოიდიპოსი,  
ამა საქმისა უმცვარი და ჩენი სიბრძნით,  
ისე, რომ არვინ შემწევნია, ვძლიე ურჩხული.  
ვიცი, გწადია მე დამანხო და მით ეღიროსო  
კრეონის ტახტთან ახლოს დადგე, ვით დიდებული...  
გორჩევე, მიფრთხილდით, შენც და შენი ჩამგონებელიც.  
ჰე, რომ არ იყო უსინათლო, ბერი, მიხრწნილი,  
შენს ზურგზე სცნობდი, რა ფასიც აქვს ამ თქვენს  
განზრახვას.

პირველი უხუცესი — ჩვენო ხელნწიფევე, შენი  
სიტყვაც, მისი პასუხიც  
მხოლოდ წუთიერ გულისწყრომით შთაგონებულა...  
რა დროს ეგ არის... გთხოვთ დამშვიდდეთ, ეხლა ჩვენ  
გემართებს  
როგორმე უკეთ შევასრულოთ ღმერთის ბრძანება.

ტირესია — თუმც შენ ხარ მეფე, ჩვენ სიტყვაში ვართ  
თანაწორნი

და უფლება მაქვს შენს წინაშე ხმა ავიმალო.  
არა, მე შენი მონა არ ვარ, მე ღმერთის ვნსახურებ.  
კრეონის ყმობაც მგონი მისანს არ ეკადრება.  
წელან დამცინე, შენ ბრმა ხარო, მაგრამ, ნეფეო,  
შენ თვალხილული, რად ვერ ხედავ, ვინ ხარ, სადა ხარ  
ან ვისთან ცხოვრობ, ან ვინ არის მშობელი შენი?  
ნუთუ ვერ ხვდები, რომ ხარ მტერი შენივე სისხლისა,  
აქ თუ ჰადესში, უახლოეს ნათესავთ მტერი?  
დარეკავს ყამი და დედ-მამის წარწყმედისათვის,  
საშინელ წყევლით მოგეჭრება შენ ბედისწერა,  
წყვედიადის კუპრით ამოავსებს შენს თვალთა გუგას  
და შორსა მხარეს წარგიტაცებს, ვით ქარიშხალი.  
ო, არ იქნება კითერონზე არცა მინდორი,  
არცა ხეობა, არცა მღვიმე თავშესაფარი,  
შენმა გოდებამ, გმინვამ რომ არ შეაზანზაროს, —

ოდეს გაიგებ ბედუკუღმართ შენს ქორწინებას...  
ოდეს გაიგებ, შენს ნავს საით მოაქანებდა  
მღელვარ ზღვის ქარი და სად ჰპოვე ნავსაყუდელი.  
ოდეს გაიგებ ამბავს კიდეც უფრო შემზარველს,  
რომ შვილი მამის რაყიფია, ძმა თავის შვილთა,  
ხოლო დედისა... სხვას შენ მიხვდი, მე დავდუმდები...  
ეხლა თუ გნებავს, დაე გვლანძღე მეც და კრეონიც.  
ოღონდ გახსოვდეს, შენ რომ გელის, იმ სატანჯველით  
ჯერ ქვეყანაზე სული ხორცს არ გასცილებია...

ო ი დ ი პ ო ს ი — (გაშმაგებით)

წადი, გამშორდი, თვალთა ჩემთა არღა გიბიღონ...

ტ ი რ ე ს ი ა — თვითონ შენ მიხმე, თორემ ისე არც

მოვიდოდრი...

ო ი დ ი პ ო ს ი — რას ვიფიქრებდი, რომ მეტყობდი ამდენ

სიგიჟეს...

ტ ი რ ე ს ი ა — გიჟი მიწოდე, შენს მშობლებს კი ბრძენად

მივანხდით...

ო ი დ ი პ ო ს ი — შესდექ... ეგ რა თქვი? ჩემს მშობლებსო?

თქვი, ვინ დამბადა?

ტ ი რ ე ს ი ა — დღეს არის შენი დაბადებაც და აღსასრულიც.

ო ი დ ი პ ო ს ი — გარკვევით მითხარ, გამოცანებს ნუ

მეუბნები.

ტ ი რ ე ს ი ა — გამოცანების ამოხსნა ხომ შენი საქმეა?

ო ი დ ი პ ო ს ი — სიბრძნეს დასცინე? მე მან მომცა ტახტი,

დიდება...

ტ ი რ ე ს ი ა — და იგი სიბრძნე იყო შენი უბედურებაც...

ო ი დ ი პ ო ს ი — სამაგიეროდ ხალხს ვუშველე... თავზე არ

გწუხვარ...

ტ ი რ ე ს ი ა — ეხლა კი წავალ... უკვე ღროა... (ბავშვს) გამიძებს,

შვილო!

ო ი დ ი პ ო ს ი — სჯობს გაგვეცალო. შენმა მოსვლამ ვერ

გვასარგებლა.

და შენი წასვლაც მგონი დიდად არ გვაზარალებს.

ტ ი რ ე ს ი ა — მამ კარგი, წავალ... თუმც წასვლამდე ერთს

კიდეც გეტყვი:

თუ ვსურს ხელთ იგდო მეფის მკვლელი, შორს  
ნუ ეძიებ...

აქვე ბრძანდება, ამ თაღებქვეშ დაბუდებული.  
ამბობენ, თითქოს სხვა ქვეყნიდან მოსული იყოს,  
მაგრამ მალე სცნობ, რომ ყოფილა იგი თებელი...  
მკვლელს სისხარული შეეცვლება გმინვა-გოდებად,  
სიმილიდრე — სასტიკ სიღარიბედ, დღე — უკუნ დაბედ,  
როს თვალდათხრილი, ყავარჯენის ბნელში ცეცებით,  
მშობელ ქვეყნიდან უგზოუკვლოდ გარდისხვეწება...  
კარგად დაფიქრდი, — იგი ძმია თავის შვილების,  
დედის, რომელმაც იგი შობა — შვილიც და ქმარიც,  
მამის სარეცლის მოზიარეც და მისი მკვლელიც...  
დაფიქრდი-მეთქი და ეს სიტყვა თუ განტყუნდება,  
მაშინ მიწოდე ცრუ მისანი და უმეცარი.

ხო რღ — ვინ არს იგი, უსაზარლეს ცოდვის მქნელი?

დელფოს კლდიდან სისხლის ორთქლში  
ვის ხელს მოჰკრა თვალი დნერთმა?  
დარია მკვლელი მიილტვოდეს  
ფეხგრიგალა რაშზე მალი,  
თორემ მისკენ ელვის ბრწყინვით,  
მეხთა გრგვინვით მოისწრაფვას  
ძე ზევსისა, რომ ახლავან  
ქალღმერთები შურისგების...

ჰა, თოვლიან პარნასიდან ხმა გაისმა...  
ბრძანებაა, ვპოვოთ მკვლელი;  
ვინცა ველურ ხარის მსგავსად  
ობლად დაძრწის ტყე-ღრეებში...  
რომ გაურბის წინასწართქმას  
მშფოთვარე და ნალვლიანი.  
მაგრამ ყველგან თავს დასძახის  
იგი შავი ბედისწერა.

რარიგ მზარავს და მაშინებს სიტყვა მისნის!  
თუმცა ბრძენის წინასწართქმა

სარწმუნოა, არცა მჯერა...  
არცა ძალშის უარყოფა...  
ეჭვით დაჭრილ გულისათვის  
წამლად ვეძებ სასოებას...  
არც მსმენია, რომ ოდესმე  
ლაბდაკოსის შვილის მტრობა  
პოლიბოსის შვილს ჰქონოდეს.  
მაშ რას ნიშნავს მისნის სიტყვა?  
ვით წარვმართო შურისგება?  
ანდა როგორ დავიჯერო,  
რომ დიდებულ ოიდიპოსს  
მკვლევლობაში ბრალი ჰქონდეს?  
არა, არა, არასოდეს!

დიდმა ზევსმა და აპოლომ უწყის მხოლოდ  
მოკვდავთ ყოვლი ქმედობანი...  
ვერ ვიწამებ, თითქოს მისანს,  
ჩემებრ მოკვდავს, ჩემზე მეტი  
ნათელზილვის ნიჭი ჰქონდეს...  
მხოლოდ თავის ოსტატობით  
მცირედ სჯობნის კაცი კაცსა...  
ო, არ მჯერა ჩვენს მეფეზე  
ეს ბრალდება საშინელი,  
ვიდრე სიტყვა, თვითონ საქმის  
სიმართლით არ დამტკიცდება.  
თქვენც ხომ ნახეთ ოიდიპოს,  
როგორც შეხვდა უჩინულს ფრთოსანს,  
როს საქვეყნოდ მისი სიბრძნე  
და სიკეთე გამობრწყინდა;  
მან ჩვენ გვისხნა სიკვდილისგან,  
ჰოდა, ამ კაცს ვით შევწამებ  
ცოდვას ეგზომ საშინელსა?  
არა, არა, არასოდეს!..

(შემოდის კრეონი. ოიდიპოსს რომ ვერ ნახავს, უხუცესებს შესჩივის აღშფოთებული. ზოგჯერ ღელვისაგან სიტყვა უწყდება).

კ რ ე ო ნ ი — მოქალაქენო! თურმე მეფე დალატსა მწამებს და ამ ბრალდებით გულმოკლულმა თქვენ მოგაშურეთ... თუ მართლა სჯერა მეფეს ჩემი მუხანათობა, თავს არ ვიცოცხლებ... ხალხნო, მზად ვარ ჩემივე სისხლით

ჩამოვირეცხო ეს ბინძური ცილისწამება...

თორემ, თუ დავრჩი შერცხვენილი, თავლაფდასხმული, ვითლა ვჩვენო ხალხს, ქვეყანას, თქვენც, მეგობრებო?

ხ ო რ ო — დღას, ეგრე თქვა, მაგრამ ვგონებ, ეს ათქმევინა უფრო სიფიცხემ, ვიდრე კეთილგონიერებამ.

კ რ ე ო ნ ი — მაინც ეს როგორ გაიფიქრა, თითქოს იმ მოხუცს შე ჩავაგონე, ტყუილები ელაპარაკა?

ხ ო რ ო — ჰო, ეგრე ბრძანა, არ კი ვიცი, რა მოსაზრებით.

კ რ ე ო ნ ი — ჩანს, კაცის ცნობა დაჰკარგვია, ან მთლად

გაგიჟდა,

რომ პირში ენა მოუბრუნდა ჩემს საგინებლად.

ხ ო რ ო — ზენაართ საქმეს ჩვენ არაფერ არ გვეკითხება...

ანდა რა ვიცოთ... აგერ, მეფე აქ მობრძანდება...

(სასხლის შუა კარებში გამოჩნდება თიღიბისი, კრიონს რომ დაინახავს, სწრაფად კბეზე დაეშვება...).

ო ი დ ი ბ ო ს ი — ამას ვის ვხედავ? აქ, ჩემს სახლში, რად შემოსულა?

ნუთუ შენ, კრეონ, ხარ იმდენად ურცხვი, თავხედი,

რომ კიდევ ბედავ დანშვილებით თვალნი მისწორო,

ოდეს დანსობით ენუქრები ჩემს ხელმწიფებას?

გაფიცებ ღმერთებს, რამ აღვიძრა გულში ეგ ზრახვა?

იქნებ გეგონა, რომ მხდალი ვარ ან უგუნური,

იქნებ გეგონა, შენს მზაკვრობას ვერ მივხვდებოდი,

ანდა უწყალოდ ვერ გავსრესდი ამ ბოროტებას?

მართოდენ ბრიყვი თუ ისურვებს გახელმწიფებას,

ოდეს არა აქვს არც იქრო და არც ხალხის ნდობა.

კ რ ე ო ნ ი — შენ ხომ შენი თქვი, ახლა ჩემი მეც მათქმევინე. ჯერ სცანი საქმის ვითარება, მერე განსაჯე.

ო ი დ ი ბ ო ს ი — უფრმა რომ კიდევ გაიგინოს, გული არ

გისმენს...

შენ ხარ მოსისხლე მტერი ჩემი...

კრეონი —

ჯერ მომისმინე...

ოიდიპოსი — გისმენ, თუ მეტყვი, რისთვის, რად ხარ  
ესდენ ვერაგი?

კრეონი — შენ თუ გგონია სიკვრპე და ურწმუნობა  
პატივისცემის ღირსი იყო, ცდები, მეფეო!

ოიდიპოსი — შენ თუ გგონია, რომ მოკეთე ღალატისათვის  
თავის საზღაურს არ სიძღვს, ამაოდ ფიქრობ.

კრეონი — არა შეთქმის რა, მტერს თავისი უნდა მიეზღოს.  
მაგრამ მიბრძანე, რად შენწამე, მეფეო, ღალატი?

ოიდიპოსი — აბა თუ გახსოვს, ვინ მიჩნია გვეხმო მისანი?

კრეონი — ევ მე ვიყავი და კიდევაც გავიმეორებ.

ოიდიპოსი — დიდი ხანია იმის შემდეგ, რაც ლაიოსი...

კრეონი — აქ ლაიოსი რად ახსენე? სწორედ არ მესმის...

ოიდიპოსი — სიცოცხლეს მოსწყდა, განგმირული უცნობის  
ხელით?

კრეონი — ო, ბევრმა წყალმა ჩაიარა იმ ამბის შემდეგ.

ოიდიპოსი — მითხარი, მაშინ ტირესია ხომ მკითხაობდა?

კრეონი — ისე, ვით ეხლა, იყო ბრძენი, პატივცემული.

ოიდიპოსი — ჩემი სახელი მაშინაც თქვა?

კრეონი — (გაუბედავად) არა... არ მახსოვს...

ოიდიპოსი — (დაცინვით)

ჰოდა იმ ბრძენმა რატომ მაშინ არ გაგიმხილათ,  
რასაც დღეს ამბობს?

კრეონი — რაც არ ვიცი, რა მოგახსენოთ?

ოიდიპოსი — (მწარე დაცინვით)

შენი საქმისა კარგად იცი და კიდევ მეტყვი...

კრეონი — რომელი საქმის? თუ რამ ვიცი, არც დაგიმალავ.

ოიდიპოსი — ის, რომ მისანთან პირი შეჰყარ, თორემ  
სხვაგვარად

იგი მკვლელობის დაწამებდა ვერ შემებედავდა.

კრეონი — რაც მან დაგწამა, ეს შენ იცი... ეხლა მეც  
გკითხავ...

ოიდიპოსი — რაც გინდა მკითხე, მაგრამ მკვლელად ვერ  
გამომიყვან...

კრეონი — შენ ხომ ქმარი ხარ ჩემი დისა?

ოიდიპოსი — დიახ, ქმარი ვარ.

კრეონი — ცოლ-ქმარს ერთი გაქვთ ხელმწიფება,  
სიმღიდრეც ერთად...

ოიდიპოსი — თუკი რამ ნებაგს, ჯერ არ მახსოვს, მეტქვას  
უარი.

კრეონი — და მეც, მესამე, ხომ უფლებით თქვენი ტოლი  
ვარ?

ოიდიპოსი — დიახ, იყავი, მაგრამ ეხლა მოლალატე ხარ...

კრეონი — ცდები, მეფეო! თუ მომისმენ, არც ნაგას  
მკადრებ:

აბა დაფიქრდი, რად ვინდომო ხელმწიფედ ყოფნა,

შიში და ძრწოლა, რაც თან ახლავს ტახტს და დიდებას,

როს მშვიდად მძინავს და უფლებით ვარ შენი ტოლი?

მე მირჩევნია ჩინებული ხელმწიფის სახელს

უჩინრად მეპყრას ხელში საქე ხელმწიფეებისა,

და არასოდეს არ მოვიკლო შენი წყალობა.

(ამასვე იტყვის აღბათ ყველა ქკუათმყოფელი).

მეფე რომ ვიყო, ჰე რამდენი ჩემი სურვილი

უნდა ჩავიკლა, რომ მოვიგო მით ხალხის გული.

არა, ვერ გავცვლი შენს მშფოთვარე ხელმწიფებაზე  
ამ ჩემს უშფოთველ მბრძანებლობას ბატონკაცურად.

ეხლა ყველაფრით ვსიამოვნებ, ყველას ვუყვარვარ,

ყველა მთხოვნელი ჩემთან მოდის, რადგან უწყიან,

რომ ჩემს ხელშია გასაღები შენი წყალობის.

ჰოდა, საამო უსიამოს რად ვანაცვალო?

აქ ბოროტ ზრახვას საღი ქკუა არც გაიკარებს.

არცა გულში მაქვს რამე მწიკველი ბოროტებისა

და ვერც გამიხდის მოლალატე თანამზრახველად.

გთხოვ: წადი დედგოვს, ქურუმს ჰკითხე და

დარწმუნდები,

რარიგ სპეტაკად მოვიტანე აპოლოს სიტყვა.

მაგრამ თუ ვტყუო, თუ მისანი მე განვაზრახე,

მზად ვარ სიკვდილით ჩემი თავი თვით დავისაჯო.

ისე კი, ექვით, უსაბუთოდ, ნუ დამსჯი მეფევ...  
როს ემყარები უსაფუძვლო ცილისწამებას,  
კეთილი ავად მოგეჩვენოს, ავი — კეთილად.  
ხელს ეგრე ნუ მკრავ, ვინც გულითად მეგობარს კარგავს,  
იგი სასუქვარ თვის სიცოცხლეს ემშვიდობება.

(პაუზის შემდეგ, ნაღვლიანად)

კაცის სიკეთის შესაცნობად წლებიც არ კმარა,  
ხოლო სიავის გამჟღავნებას ერთი დღეც ჰყოფნის.  
პირველი უხუცესი — კეთილად მსჯელობს. შენც,  
მეფეო, დინჯად განსაჯე.

თორემ სიჩქარით კენჭიც მთისა ზევაად იქცევა,  
ხელმწიფის მსჯავრი კი საშინელ უსამართლობად.

ოიდიპოსი — მაგრამ თუ ზეავი, იდუმალი ზაკვით  
აღძრულად.

ჩემკენ ისწრაფვის, მაშინ მეც ხომ უნდა ვიჩქარო?  
თორემ მის მოსვლას თუ ვუცადე გულდამშვიდებით,  
ის გაიმარჯვებს, მე კი მის ქვეშ დავიმარჯვები.

კრეონი — თქვი, რას მიპირებ, გაძიებებს?

ოიდიპოსი — არა, უარესს...

მსურს მოგაკვიდნო...

კრეონი — რა ბრალი მაქვს, ვერ დამიმტკიცე...

ოიდიპოსი — იქნებ გგონია ვადურჩები ჩემს განჩინებას!

კრეონი — სიბრძნე არა ჩანს შენს სიტყვებში.

ოიდიპოსი — მას საქმით ნახავ.

კრეონი — ნეტავ ასეთი რა შეგცოდნე?

ოიდიპოსი — მოლაღატე ხარ...

კრეონი — თუ სცდები?

ოიდიპოსი — მაინც მორჩილება გმართებს ხელმწიფის.

კრეონი — ცუდი ხელმწიფის? უთაურის ო, არასოდეს...

(გაფიორებული ოიდიპოსი ხმალს იმიშვლებს და კრეონისაკენ გასუფთავებული მკერდით უსიტყვოდ მავედრებელ უხუცესთა ნაღვლიან სახეებს რიონ დასწავს, ხმალს ისევ ქარქაშში წააგებს და გულდან ამოსკდება.)

ოიდიპოსი — ხომ გესმის, ხალხო, ჩემო ხალხო!

კრეონი — (დამუჭრებით) ის ჩემიც არის,

იქნებ გგონია მხოლოდ შენ ხარ აქ მბრძანებელი?

ხორო — კმარა, დაწყნარდით, მეუფენო! ჰა, იოკასტე  
თქვენსკენ იჩქარის, გთხოვთ დაიცხროთ ეგ

გულსწყრომა...

(სასახლის კარებში გამოჩნდება იოკასტე და ჩქარი ნაბიჯით მათ  
მიაშურებს.)

იოკასტე — ჰე, საბრალონი! რას სჩადისართ? ვაი,

სირცხვილო!

როცა ისედაც თავს გადაგვდის უბედურება,

შინაურ შფოთსაც ზედ უმატებთ? არ გეკადრებათ...

პალატში შედი, თიდიბოს, შენც, ძმავო კრეონ...

არ გადაიქცეს მცირე წყენა დიდ მწუხარებად...

კრეონი — ოჰ, დამ ჩემო, რომ იცოდე შენი მეუღლე

ტყუილუბრალოდ რა საშინელ სასჯელს მიწადადებს!

თიდიბოსი — დიახ, მსურს მოგკლა, რადგან იგი არის

შეთქმული,

ჩემი სიცოცხლის მოსწრაფების მცდელი ვერაგი.

კრეონი — დე აქვე მოგკვდე, წყეულ ვეფო უკუნისამდე,

ოდესმე ფიქრად თუ მომსვლოდეს შენი ღალატი.

იოკასტე — ხომ გაიგონე, თიდიბოს, ძვირფასო ქმარო?

გაფიცებ ღმერთებს, გთხოვ ერწმუნო მის სიწრფოვებას...

გთხოვ პატივი სცე აი ამ ხალხს და ჩემს ცრემლებსაც...

ხორო — დიდო მეფეო, გთხოვთ, გვევადრებით...

შენს გულსა ჰკითხე,

სიბრძნით განკვირბე

და შეიწყალე.

თიდიბოსი — ჩემგან რას ითხოვთ?

ხორო — შენი ცოლისძმა, შენი ერთგული,

ბრძნულად მეტყველი,

ხათნო, კეთილი,

გთხოვთ, შეიწყალე...

თიდიბოსი — გესმით, რასა მთხოვთ?

ხორო —

გვესმის. მეფეო...

თიდიბოსი — მე კი არ მესმის...

ხორო — დე ნუ ექცევი უპატივოდ, ვით მოღალატეს;

ვინც შენს წინაშე არის წმინდა და უცოდველი.

ო ი დ ი პ ო ს ი — ეხლა კი მივხვდი... მისი დაცვით ჩენს  
სიკვდილს ითხოვთ.

ხ ო რ ო — (მზისკენ ხელს აღაპყრობენ)

არა, ოპ, არა. ნზე არის მოწმე,  
თვით პელიოსი, ზენაართ ღმერთი...  
გულში თუ მქონდეს ეგ ბილწი ზრახვა,  
დე აქვე მოვკვდე, ვით მოღალატე,  
ცის და მიწისგან შეზიზღებული.  
მაგრამ, მეფეო, ჩვენ ისე გვტანჯავს,  
ხალხის, მამულის, თებეს ვაება...  
და გვეშინია... ო, გვეშინია,  
ამ ჩვენს ვაებას არ დაერთოს სხვა განსაცდელიც.

(პაუზა. ოიდიპოსი ყოყმანობს. დიდი სულიერი ბრძოლის შემდეგ)

ო ი დ ი პ ო ს ი — ვათავისუფლებ! დე წავიდეს, თუნდ ამას  
მოჰყვეს

თქვენი ხელმწიფის მოკვდინება ან გაძევება...

წავიდეს, მაგრამ ჩემი ზიზღიც თან სდევდეს მარად.

კ რ ე ო ნ ი — ნაძალადევი წყალობაა, მაგრამ, მეფეო,  
რაწამსაც რისხვა დაგიცხრება, ვიცი, ინანებ...  
ვიცი, შენი ზნე შენვე გტანჯავს...

ო ი დ ი პ ო ს ი — წადი, გამშორდი!

კ რ ე ო ნ ი — აჰა, მივდივარ შენგან უღვთოდ შეგინებული,  
ხოლო მათ თვალში — სპეტაკი და ცამდე მართალი.

(კრეონი იოკასტეს და ხოროს თავის დასრით გამოეთხოვება. ოიდიპოსი ზიზღით გაჰყურებს მიმავალ კრეონს. ამ დროს იოკასტე უსუცესებთან მივა, თვალებით ეკითხება რა მოხდაო, მაგრამ ისინი პასუხს თავს არიდებენ).

ხ ო რ ო — ო, დედოფალო! ნულარ აყოენებ...

სჯობს ქმართან ერთად პალატს შებრძანდე.

ი ო კ ა ს ტ ე — თქვით, აქ რა მოხდა? რაზე დაობდნენ?

ხ ო რ ო — (დაზარებით) რალაც ბუნდოვან სიტყვებს ამბობდნენ...

საწყენი არის ფუჭი ბრადღებაც...

ი ო კ ა ს ტ ე — ერთიმეორეს ბრალს დებდნენ?

ხ ო რ ო — დიახ.

ი ო კ ა ს ტ ე — (მტკიცედ) რა ბრალსა დებდნენ? მამცნეთ

ყოველი

ხორო — გთხოვთ, დედოფალო, ნუ აღვიძებ მიძინარ

ქარიშხალს...

ნურაფერს გვკითხავ... კმარა, კმარა ეს განსაცდელი.

ოიდიპოსი — (საყვედურით)

თუმცა შენ ჩემთვის კარგი გინდა, ჯერ ცუდა ვხედავ...

ო, ბოღმა მახრჩობს... ამოტყდება კვლავ... ქარიშხალი...

ხორო — დიდო მეფეო, რამდენჯერ გითხარ,

ბრმა უნდა ვიყო ან უგუნური,

პატივი არ ესცე შენს ხელმწიფებას...

ან გიღალატო შენ, ვინც ქვეყანა

იხსენი ყამსა ავბედობისა

და ჩვენი ბედი სწორად წარმართე...

ესლაც, მეფეო, იყავ მოწყალე,

ჩვენი მფარველი და წინამძღვარი.

(ოიდიპოსი ნაღვლიანად თავს ჩაიდებს. სახარელი ფიქრები აეშალა).

იოკასტე — გაფიცებ ღმერთებს, მეც მითხარი, ჩემო

ხელმწიფე...

განა რა იყო, ეგვრე ძლიერ რომ განგარისხა?

ოიდიპოსი — როგორ არ გეტყვი, ჩემო ერთავ, ტყბილო

ნუგეშო!

ჯერონი ამბობს, რომ თითქოს მე...

იოკასტე —

ჰო, დაასრულე...

ოიდიპოსი — ციფს მწამებს, თითქოს შე ვარ მკვლელი

ლაიოსისა.

იოკასტე — (გაოცებული)

თვითონ შეუთხზავს, თუ ეს ცორო სხვამ ჩააგონა?

ოიდიპოსი — არა, სხვას თვითონ ჩააგონა, ო, მოღალატე,

ფუღით მოსყიდულ ვერაგ მისანს ალაბარაკებს...

იოკასტე — (უეცარი აღზნებით)

ეგ ნუ გაფიქრებს, ო, დანშვიდდი, ჩემო ხელმწიფე!

მოკვდავს არა აქვს ნათულსილვის მაღლი ციური. —

ამის საბუთად ხელმწიფეო, ერთ ამბავს გეტყვი:

მეფე ლაიოსს უმკითხავეს ერთხელ ქურუმთა,

რომ მას მოჰკლავდა მისივე შვილი, ჩემგან შობილი...

(უხუცესნი შესფოთებულნი ერთმანეთს გადაულაპარაკებენ)

ასე არისო ბედისწერით განჩინებული.

ოხ, შვილო ჩემო! ჩემს პაწია, სამი დღის ვაჟსა,  
განთიადისას მანამ თასმით შეუტკრა ფეხნი  
და თავის მსახურს უღრან ტყეში დააგდებინა.  
ლაიოსი კი, როგორც მთელმა ქვეყანამ უწყის,  
ავაზაკებმა მოჰკლეს სამი გზის ჯვარედინზე.

(ოიდიპოსი უცებ შეკრთება. იოკასტე მოგონებით გატაცებული ვანავ-  
რძობს და ვერც ამჩნევს, რომ ოიდიპოსი მას აღარ უსმენს).

აბლა ხომ ხედავ? არც ინება დიდმა აბოლომ,  
რომ ჩემს პაწიას მამის სისხლში გასეროდა ხელი,  
პირიქით, მამის დაეჭვებას თვით შეეწირა.  
აი მეფეო, რა ფასი აქვს მისანთ ყბედობას...  
ყურს ნუ ათხოვებ... თუ ღმერთებს სურთ რაჟე

გვაუწყონ.

მაშინ საბურველს თვით ახდიან იდემალებას.

ო ი დ ი პ ო ს ი — (თითქოს გამოერკვევა. ხმა ათრთოლებული)

ეგ რა მითხარი, სული ჩემი შფოთავს და დრტვინავს...  
გულიც საგულეს აღარ დგება, ო, იოკასტე!..

ი ო კ ა ს ტ ე — ამას რად ამბობ?.. ოიდიპოს... შენ მთლად

გაფითრდი...

ო ი დ ი პ ო ს ი — შენ თქვი, სამი გზის ჯვარედინზე მოჰკლეს

მეფეო...

ი ო კ ა ს ტ ე — ასე ამბობდნენ მაშინ, ესლაც ასე ამბობენ.

ო ი დ ი პ ო ს ი — (ნაძალადევი სიმშვიდით)

სად მოჰკლეს მეფე, რა ადგილზე?

ი ო კ ა ს ტ ე —

შორს, ოკეიდანი,

სადაც დელფოს და დავლიის გზა ერთმანეთს სჭრიან.

ო ი დ ი პ ო ს ი — ეგ როდის მოხდა?

ი ო კ ა ს ტ ე —

ხალხს ეუწყა ცოტა ხნით ადრე,

ვიდრე ამ ქვეყნის მბრძანებელი შენ გახდებოდი.

ო ი დ ი პ ო ს ი — (თავხარდაცემული)

ღმერთნო მაღალნო! ეს წამება რად განმიძხადეთ?!

ი ო კ ა ს ტ ე — ეგრე რად შფოთავ, ოიდიპოს?

ო ი დ ი პ ო ს ი —

მავას ნუ მკითხავ.

ჯერ ეს მითხარი, ლაიოსი როგორი იყო?  
რამდენი წლისა?

იოკასტე — იყო იგი წარმოსადევრი,  
ოდნავ ქალარა, ხოლო სახით (ოიდიპოსს სახეში ჩააკვირდება)  
შენ ჩამოგვადედა.

(უხუცესნი უნებლიეთ ოიდიპოსს აკვირდებიან, ჩურჩულით ოიდიპოსის და ლაიოსის მსგავსებას ადასტურებენ).

ოიდიპოსი — (სასოწარკვეთილი)

ვაი საბრალო ჩემო თავო, ნუთუ ეს შენ ხარ?  
ვისაც შენ თვითონ დაატეხე წყევლა საზარია?..

იოკასტე — (გაუბედავად)

რა თქვი? ო, თვალსაც ვერ გისწორებ, საშინელი ხარ...

ოიდიპოსი — ვინ იცის, იქნებ ბრმა მოხუცი ღიმიართლეს  
ამბობს...

მაგრამ ამ საქმეს მეც გავარკვევ, თუ ერთსაც მეტყვი.

იოკასტე — თუმც ძლიერ მაერთობ, რასაც მკითხავ,  
ყველაფერს გეტყვი.

ოიდიპოსი — ლაიოს მეფე გზას გაუდგა მცირე ამალით,  
თუ ბევრნი ახლდნენ. როგორც ჰმევენის ქეცყენის  
მბრძანებელს?

იოკასტე — მაცნესთან ერთად ხუთნი იყვნენ და ერთიც  
ეტლი,

რომელშიც იჯდა თვითონ მეფე.

ოიდიპოსი — ეხლა კი მივხვდი...

ყველაფერს მივხვდი... პოი ღმერთო! მაგრამ ქალაქში  
ამბავი ვინლა მოიტანა?

იოკასტე — ერთმა მსახურმა,

რომელიც მკვლელებს გამოექცა.

ოიდიპოსი — და ის მსახური

აქ ჩვენთან არის, სასახლეში?

იოკასტე — (მწუხარედ) არა, მეფეო!

რა ეს ამბავი მოიტანა და ლაიოსის

ტახტზე შენ გნახა, ის ქვითინით ფერხთ ჩამივარდა...

მთხოვდა, სოფელში გამიშვიო ნახირის მწყემსად,

არ მსურს ვნახოო ეს ქალაქი ამიერიდან...

და მეც უარი ვერ ვუთხარი, მწყემსად გავუშვი,  
ვით ერთგულ ყმასა, ეკუთვნოდა მეტი წყალობაც.

ოიდიპოსი — არ შეიძლება, რომ საჩქაროდ აქ მოიყვანონ?

იოკასტე — ეგ შეიძლება, მაგრამ მწყემსი რაში გკირდება?

ოიდიპოსი — (მოუთმენლად)

შიშმა შემიპყრო... როგორ გითხრა, ო, იოკასტე,  
ძალზე დიდია ეს მიზეზი... ჩქარა მოვიდეს...

იოკასტე — (აღერსიანი საყვედურით)

ჰო, ჩქარა მოვა, მაგრამ, მეფევ, მეც ხომ ვარ ღირსი,  
რომ ეგ წუხილი შენს მეგობარს გამიზიარო?

ოიდიპოსი — (სათუთად)

ღირსი ხარ, ჩემო მეგობარო. მაშ ვისღა ვანდო,

ვის გაგუშვილო მშფოთვარ სულის იღუნალება,

თუ არა ძვირფას ჩემს მეთულეს?... ჰოდა, მისმინე: —

პოლიბოს იყო მამაჩემი, კორინთოს მეფე,

დედას კი, ტომით ლორიდელსა, ერქვა მეროპე,

ვიყავ მეფის ძე, ბედნიერი, სახელოვანი,

ვიდრე ერთი რამ არ შემემთხვა, რამაც ერთბაშად

თავნარი დამცა, გამაოცა, თუმცა პირველად.

ერთხელ ნადიმზე, ვილაც მოვრალმა, არ ვიცი რატომ,

მიგდებულაო, — წამომძახა... სისხლი ამეღვრა,

ცოტა-და აკლდა, დასასრულებად ყელში ვწვდომოდი

და როგორც იყო, მოვითმინე... მეორე დღეს კი

მშობლებს შევჩვილე... ო, ისინიც დიდად განრისხდნენ,

მაქმელი დასაჯეს, მომეფერნენ და მეც დავწყნარდი.

მაგრამ ის სიტყვა ისე მძაფრად გულს აღმიბეჭდა.

ისე მტანჯავდა, რომ ერთ ღამეს, მშობელთ უმძრახად

შორეულ დელფოს გავემგზავრე, მაგრამ აპოლომ

ჩემს შეკითხვაზე არა თქვა რა, სამაგიეროდ,

მამცნო ამბავი საზარელზე უსაზარლესი,

ზენაარ ღმერთთა რისხვა ჩემს თავს გარდასახადი...

მან ნათლად მითხრა, რომ მე მოვკლავ ჩემს მოხუც

მამას.

ხოლო დედასთან მიმდგომელი გავაჩენ შვილთა,

ცისა და ქვეყნის საძულველთა უკუნისამდე...

რა ეს მომესმა, მწუხარებით გაოგნებულმა,  
ზურგი ვაქციე ჩემს საყვარელ კორინთის მიწას  
და ღამის ვარსკვლავთ მინდობილი გავუდექე გზასა...  
გავრბოდი, რათა გავქცეოდი ჩემს ბედისწერას...  
დიდხანს გავრბოდი... და ჰა, ვხედავ გზაჯვარედინთან,  
სწორედ იქ, სადაც. შენი სიტყვათ, ხელმწიფე მოჰკლეს,  
ბედღაურები ეტლს შარაზე მოაქროლებენ...  
ეტლში სულ ორი მგზავრი იყო ერთი მოხუცი,  
თვალტანადობით სულ ისეთი, როგორც შენა თქვი,  
მეორეც მაცნე... და როდესაც მომიახლოვდნენ,  
ინდომეს გზიდან გადავეგდეთ, ან გავეთლეთ,  
ვერ მოვითმინე და მეეტლეს უეტრად დავკარ,  
რომ იმ მოხუცმაც ორგზის შოლტი გადნომიჭირა...  
მაგრამ ზედმეტად ვაზღვევინე ეს თავხედობა...  
კვერთხი ვაძგერე და მოხუცი ძირს გაინართხა...  
გაყულიტე სხვებიც... მართალს ვამბობ, ო, იოკასტე!  
თუ იმ მოხუცსა და ლაიოსს საერთო რამ აქვთ,  
მაშინ ამ ცისქვეშ ვინლა იყოს ჩემზე ბედკრული  
და ღმერთებისთვის საძულეელი. ო, იოკასტე!..  
არც უბინაოს ბინა მომცენ, არცა სალამი...  
და წყევლა-კრულვის მოძახილით შორს გარდამხვეწონ...  
ნუთუ ჩემს თავსვე ვიწყველიდი მე უბედურა?  
ნუთუ ამ ხელით მე უგუნურს მომიკლავს მეფე  
და ამ ხელითვე შეეჟრყვენა მას სარეცილი?  
მაშინ ვინა ვარ? ჯანა მართო მკვლელი, ბოროტი?  
თავით ფეხამდე სიბილწე ვარ... უნდა გავიქცე...  
და სად გავიქცე? თუ კორინთოს კვლავ დავუბრუნდი,  
მოგვლავ პოლიბოსს, ჩემს საყვარელ, ჩემს კეთილ მამას,  
ხოლო ჩემს დედას, აპოლოს თქმით, ცოლად შევირთავ.  
აბა ვინ იტყვის, რომ ესოდენ სასტიკი ხვედრი  
არ მომისაჯა თვით დემონმა უბოროტესმა?  
ო, არა, ღმერთანო, ზენაარნო! აქვე დამლახვრეთ!..  
ნუმიც განითენებთ იმ შავ დღესა, საზარელ დღესა!..

(იოკასტე შეძრწუნებულია, თავდახრილი დუმს. უხუცესნი რაღაცას  
ნაღვლიანად ჩურჩულებენ).

პირველი უხუცესი — ო, ამ ამბავმა ჩვენ შეგვზარა,  
მაგრამ, მეფეო,  
იმედს მოწმეთა მოსმენამდე ნუ გარდაიწყებთ...  
ოიდიპოსი — მწყემსს დაველოდოთ... ეგლა არის ერთი  
იმედი...

მაგრამ, ვაითუ ამ იმედსაც დიდი დღე არ აქვს...  
იოკასტე — მაინც მწყემსისგან რას შეიტყობ?  
ოიდიპოსი — თუ შენი სიტყვა  
მწყემსის ჩვენებას დაემთხვევა, მაშინ გადავჩიო.  
იოკასტე — რომელი სიტყვა?  
ოიდიპოსი — რომ ხელმწიფე მოკლეს ყაჩაღთა.

თუ მანაც ეს თქვა, მე არა ვარ ხელმწიფის მკვლელი.  
არ შეიძლება ერთი მრავლად მოსჩვენებოდეს:  
მაგრამ თუ იტყვის, მკვლელი მართო ერთი იყოო,  
მაშინ ეს ცოდვა ჩენს თავზეა...

იოკასტე — (მხიარული გამოცოცხლებით) დიახ, მეფეო!  
ბევრნი იყენნო, მეც და ყველას ეს განგეცხადა.  
რა საკადრია დღეს გადათქვას, და თუ გადათქვანს,  
(წუთიერი დაფიქრების შემდეგ, გულისწყრომით)  
ღვთის სიტყვას მაინც სად წაუტყა? აპოლომ ბრძანა,  
რომ მამას მოჰკლავს მისივე შვილი, ჩემგან შობილი...  
თუმც ჩენს პატარას მის მოკვლამდე აღმოზდა სული,  
ოხ, არა, არა... ღმერთის სიტყვაც აღარა მჯერა...  
(უხუცესთ შორის დიდი აღშფოთება)

ოიდიპოსი — სიმართლეს ამბობ... მაინც მწყემსთან კაცი  
გაგზავნე.

იოკასტე — პალატს შევიდეთ. ჰო, გავგზავნი, ჩემო  
ხელმწიფევე.

მზად ვარ ყოველი აღვასრულო, რაც შენ გაამბეს.  
(ოიდიპოსი და იოკასტე სასახლეში შედიან)

ხოლო — ო, ბედისწერავ, შენ მომეც სიმხნე,  
რათა სპეტაკი სიტყვით თუ საქმით,  
ცით მონიკებულს ვიცავდე სჯულსა,  
რომლის მამაა თვით ოლიმპოსი,  
ხოლო ეთერი — სამშობლო წმინდა.

არ შეუქნნიათ იგი მოკვდავთა  
და დავიწყებაც ვერ წაშლის, რადგან  
მასზე ღმერთთა ქაბუკი მარად...

ამპარტავნება შობს თვითნებობას,  
ხოლო სიხარბე ბრმა, უგუნური,  
მრავალ ცუდის ქნით, უკეთურ გზითა  
მაღალ მწვერვალზე აიყვანს კაცსა,  
რათა დიდებულ ამ სიმაღლიდან  
სამინელების უფსკრულში დანთქას  
და იქ აღმოხდეს სული ბოროტი...  
ო, გვიწინამძღვრე, ღმერთო მაღალო,  
გვედრით, წყალობის მსასოებელნი.

ვინცა ქედმაღლობს დიდებით მიერალი,  
არღა ეკრძაღვის მართლმსაჯულებას  
და არც პატივს სცემს ზენაარ ღმერთთა,  
დაე ბოროტი ნეტარებისთვის  
მას მიენიქოს ხევედრიც ბოროტი.  
ვინცა ცრუ სიბრძნით განუებას ხელყოფს  
და მისდევს მზაკერულ მომხვეჭელობას,  
ბნელ საქმეთათვის რომ ეთქმის გული,  
ნუმც გადურჩება ღვთის მრისხანებას...  
თუ ამგვარ საქმეთ პატივსა სცემენ,  
რა საჭიროა ეს ღაღადისი?

ცუდ საქმეთათვის მოკვდავს ყოველსა  
თუ არ მიეწყვის შესაფერისად!  
თუ ღმერთი ძალას არ გამოიჩენს  
წინასწართქმულის აღსრულებითა...  
ლოცვა-ვედრებით რათლა ვეწვიო  
მიწის წმინდა გულს, ან თვით ოლიმპოსს,  
ანდა აბაის უძველეს ტაძარს.  
ო, დიდო ზევსო! თუ შენ ხარ მართლა  
შემძლე ყოვლისა, ღმერთების ღმერთი,

უსაზღაუროდ, დე, ნუ დარჩება  
მოკვდავთა ცოდვა შენს მეუფებას.  
თორემ გაცუდდა სიტყვა ქურუმთა,  
ლაიოსისთვის წინასწართქმული...

დღეს თვით აპოლოს პატივს არ სცემენ  
და იქელება ღვთაება წმინდა.

(სასახლის კიბეზე ჩამოღის იოკასტე. ერთ ხელში ყვავილების კონა აქვს, ხოლო მეორეში გუნდრუკის პატარა კოლოფი).

იოკასტე — ერის მთავარნო! რომ იცოდეთ, ოჰ, რომ

იცოდეთ,

რარიგ უზომოდ წუხს და შფოთავს ხელმწიფე ჩვენი...  
შავი ფიქრებით გაოგნებულს წარედო სიბრძნე  
და ვერღა არჩევს სიტრუესა და სინამდვილეს...  
ჩემი აღარ სწამს არაფერი. სხვისა კი სჯერა,  
ოღონდ ის უთხრან, რაც შეზარავს მის ტანჯულ სულსა..  
მეც გადავწყვიტე, ღმერთს მივართვა შესაწირავი:  
ა ეს ყვავილნი და გუნდრუკი სტრნელოვანი.

(აპოლოს ქანდაკისაკენ ხელს გაიშვერს)

ჰოი, აპოლო ლიციელო, შენ გევედრები...

აღმოცისკრებით განგვინათე ღამე უკუნო,

თორემ წყვილიაში წინამძღვარი გზას ვერღა იგნებს...

ჩვენც შიში გვიპყრობს... ჰოი, გვიხსენ, დიდო აპოლო!

(ყვავილებს აპოლოს კვარცხლბეკზე დააწყობს. შემდეგ კოლოფიდან გუნდრუკს ამოიღებს და ნაკვერცხლებზე მიმოაბნევს. სამსვერპლოდან ცისფერი კვამლი ამოვა. იოკასტე ჩუმად, მხურვალედ ლოცულობს. მარჯვენა მხრიდან სცენაზე შემოდის კორინთელი მოამბე, თავით ფეხამდე ღამტვერილი, ჩანს, შორეული ქვეყნიდან მოსულა).

მოამბე — ეჰეი, ხალხნო! აქ სად არის ხელმწიფის სახლი?

ანდა ამჟამად თვით ხელმწიფე სადა ბრძანდება?

ბორო — სახლი ეგ არის, შინ ბრძანდება ოიდიპოსი,

ეს კი ცოლია, თვით ხელმწიფის შვილების დედა.

(მოამბე დედოფალს მდაბლად თავს დაუკრავს)

მოამბე — სალაში ტურფა დედოფალო, დე ცხონდებოდე

ბედნიერთ შორის ბედნიერად უკუნისამდე!

იოკასტე — ამ დალოცვისთვის შენც იხარე, უცხო

სტუმარო!

თქვი, რა ამბავი მოგვიტანე?

მომამბე — სასიხარულო...

შენი ქმრისა და ოჯახისთვის.

იოკასტე — ნეტავ ასეთი

რა ამბავია, ვინ გვიგზავნის?

მომამბე — კორინთოს ხალხი...

სასიამოვნო ამბავია, თან საიწუხნაროც...

იოკასტე — ეგ რა სიტყვაა, დარდს სიამე არ ეთავსება.

მომამბე — მთელი ისტამბოლი ოიდიპოსს თხოვს ხელმწიფეობას.

იოკასტე — როგორ, იქ ტახტი ხომ დიდებულ პოლიბოსს ეპყრა?

მომამბე — მაგრამ სიკვდილის მეუფებამ შეიპყრო მეფე.

იოკასტე — (აღტაცებით) გარდაიცვალა?

მომამბე — თუ ვტყუოდე, დე, აქვე მოვკვდე.

იოკასტე — (მხევალს)

მსახურო, გასწი, ბატონ მეფეს აქ მოუწოდე.

(მხვეალი მიდის. გახარებული იოკასტე ცისკენ ხელს გაიშვებს).

აჰა, ღვთის სიტყვა, წინასწართქმა თუ რა ყოფილა...

რომ ოიდიპოსს არ მოეკლა მოხუცი მამა,

შიშით ლტოლვილი თვით ქვეყანას შორს განერიდა...

ესლა ხომ ხედავთ? პოლიბოსი თავისით კვდება...

შვილი აქ არის, ხოლო მამა იქ აღესრულა.

(სასახლის კიბეზე სწრაფად ჩამოდის ოიდიპოსი)

ოიდიპოსი — რად მიხმე, ტურფა იოკასტე?

იოკასტე — (აღტაცებით) ჩემო ხელმწიფევ,

ამ უცხო სტუმარს მოუსმინე და შენ გაიგებ,

თუ ვით სრულდება ზენაართა წინასწართქმული.

ოიდიპოსი — საიდან არის? რას გვაუწყებს?

იოკასტე — კორინთელია,

გვაუწყა, მამა პოლიბოსი აღესრულაო...

ოიდიპოსი — (შეშფოთებით)

შენი პირით თქვი კორინთელო, ეს მართალია?

მომამბე — თუ ეს ამბავი საჭიროებს განმეორებას,

გეტყვით: პოლიბოსს სამუდამოდ დაგემშვიდობათ.

ოიდიპოსი — მაინც რამ მოჰკლა? კაცთ მზაკვრობამ თუ  
სნეულებამ?

მოამბე — მიხრწნილ სხეულში მბეჭუტავ შუქსა სიოც  
ჩააქრობს.

ოიდიპოსი — მამ უბედური სენმა მოკლა?

მოამბე — და სიბერემაც.

ოიდიპოსი — ო, იოკასტე, ამის შემდეგ ვითლა ვერწმუნო,  
დელფოს სამისნო საკურთხევლებს, ქუთრეთა ღაღადს,  
ან ცაში ფრინველთ, იღუმალ ხმით მანისწებელთა,  
რომ კეთილ მამას ჩემი ხელით სულს აღმოვხდიდი?  
ხომ გაიგონე? საუყუნოდ მან განისვენა,  
ისე რომ მასზე შვილის ხელი არ აღმართულა.

მხოლოდ ერთია... ეს, ვინ იცის, იქნებ პოლიბიასს,  
ჩემზე წუხილმა, ჩემზე დარღმა ჰოულო ბოლო...  
გესმის? აწ იგი მიწაშია, ქვესკნელს შთავიდა  
და უგუჟური წინასწართქმაც წარიღო თანა.

იოკასტე — მეც ხომ, მეფეო, სულ ვამბობდი...

ოიდიპოსი — ჰო, შენც ამბობდი...

და არ მჯეროდა... შიში იყო უფალი ჩემი...

იოკასტე — ესლა ხომ გჯერა, ამგვარ შიშსა გული არიდე.

ოიდიპოსი — მამ ჩემი დედის სარეცლისა არ მეშინოდეს?

იოკასტე — მაგას რად ბრძანებ? როცა ბედი სიხარულს  
გწყალობს,

და ყოველგვარი წინასწართქმა არის ამაო. —

სჯობს, რომ იცხოვრო სულ უბრალოდ და უზრუნველად  
დედათან სისხლის აღრევისა ნუ გეშინია...

ზოგჯერ მოკვდავი ხმ სიბილწეს სიხმარში სჩადის,  
მაგრამ როდესაც თვალს გაახელს, არაფერია...

ოიდიპოსი — თუმც მართალს ამბობ, მე რატომღაც  
ვკრთი, იოკასტე...

ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩემი დედა, მშობელი ჩემი,

და ვიდრე ცოცხლობს, მეშინია, ო, მეშინია...

იოკასტე — მამა ხომ მოკვდა, აი შენი დიდი ნუგეში...

ოიდიპოსი — ეგ მაიმედებს, მაგრამ დედა ხომ ცოცხალია?

მოამბე — მეფეო, ესდენ რომ გაშინებს, ვინ არის იგი?

ოიდიპოსი — მეროზე, ქვრივი პოლიბოსის.

მოამბე — რატომ, მეფეო?

ოიდიპოსი — შენზარავია ბედი ღვთისგან განჩინებული.

მოამბე — საიღუმლოა, თუ ჩემთანაც ითქმება იგი?

ოიდიპოსი — რატომაც არა... ზენაარმა აპოლომ ბრძანა,

ოდესმე ცოლად შეირთავო შენ მშობელ დედას...

სწორედ ამიტომ მკის დავტოვე კორინთოს მხარე

და გადვიკარგე... თუმც მეფე ვარ, ვარ ბედნიერი,

მანც, მოხუცო, მშობლის ხილვა თვალს იამება.

მოამბე — განა ამიტომ გარდისხვეწე?

ოიდიპოსი — და კიდევ მიტომ,

რომ ჩემი მამა არ მომეკლა...

მოამბე — ჩემო ხელმწიფევ,

კეთილი მიზნით აქ მოსულსა, მომეცი ნება,

რომ აი ეხლავ მივცე ქარსა ეგ შენი შიში.

ოიდიპოსი — ნეტავი მართლა... ღირსეულად

დაგამწყალობებ.

მოამბე — (შეშარავად)

...სწორედ მიტომ გეახელით, რომ კორინთოში

შინ მიყვანისას შენგან ვირგო მცირე წყალობა.

ოიდიპოსი — (მტაცვად)

არა, ენც მშობა, არც ვინილავ მას არასოდეს.

მოამბე — (სიცილით)

ო, შეილო ჩემო, თუ რასა იქმ, არც თვითონ უწყი.

ოიდიპოსი — სათნო მოხუცო, ღმერთს გაფიცებ, ამიხსენ

თვალნი.

მოამბე — მშობლებს გაუარბი და ამიტომ აქ დაივანე?

ოიდიპოსი — ვწიშობ, არ ახდეს წინასწართქმა ღვთით

ბრძანებული...

მოამბე — და რომ არ გახდე წამბილწველი მშობელთ

სახლისა?

ოიდიპოსი — დიახ, მოხუცო, ეგ შიში მღევს ყველგან და

მარად.

მოამბე — ეპ, რომ იცოდე რა ფუქია ეგ მშფთთვარება...

ოიღიპოსი — ფუჰია? როგორ? მე ხომ ძე ვარ ჩემი  
მშობლებს?

მოამბე — თუ პოლიბოსის წვეთი სისხლიც არ არის შენში?  
(იოკასტე შეკრთება, ამ ლაპარაკს ავადმყოფური დაძაბულობით  
უსმენს).

ოიღიპოსი — რა თქვი, მოხუცო? პოლიბოსი მამაა ჩემი.  
მოამბე — (ხუმრობით)

რე, როგორც მე... არცა მეტად და არც ნაკლებად.  
ოიღიპოსი — ჩემს მშობელ მამას უცხო კაცი როგორ  
ედრები?

მოამბე — ჩემებრ უცხოა იგი შენთვის.

ოიღიპოსი — შვილს თუ მეძახდა?

მოამბე — მეფე პოლიბოსს ამ ხელებმა მიგვევარეს, შვილო...

ოიღიპოსი — და მაგ ხელთაგან აყვანილი ეგრე ვუყვარდი?

მოამბე — რადგან თავისი არა ჰყავდა, შენ შეგიყვარა.

ოიღიპოსი — სადმე მიყიდე ხელმწიფისთვის, თუ შენ ხარ  
მამა?

მოამბე — არა, გიპოვნე უღრან ტყეში კითერონისა.

(იოკასტე გულზე ხელს მიიჭერს... ჩანს უსახვროდ იტანჯება).

ოიღიპოსი — იქ რა გინდოდა?

მოამბე — (თავმოშონედ)

მწყემსი ვიყავ, ნახირს დაღვევდი.

ოიღიპოსი — ნახირს დაღვევდი?

მოამბე — სიკვდილისგან მე დაგისხენი.

ოიღიპოსი — თქვი, სასიკვდილო რა მიჭირდა?

მოამბე — ო, შვილო ჩემო!

ამას გაუწყებს შენს წვივებზე დალი შთენილი.

(იოკასტე სუსტად წამოიკივლებს. ქანდაკის კვარცხლბეკს მიეყრდნობა).

ოიღიპოსი — კმარა, მოხუცო, ნუ მაგონებ ძველ ბო-  
როტებას!

მოამბე — თასმას წვივები ღრმად ჩაეჭრა... მე შემოგხსენი.

ოიღიპოსი — არტახიდანვე სასირცხვილო დაწყვა ნიშანი...

მოამბე — ჰოდა, აქედან წარმოიშვა შენი სახელიც.

ოიღიპოსი — და ასე უღვთოდ ვინ გამწირა, დედამ თუ  
მამამ?

მომამბე — ეს იმან იცის, შენი თავი ვინც ჩამაბარა...  
ოიდიპოსი — ვინ ჩავაბარა? განა ტყეში შენ არ მიპოვნე?  
მომამბე — არა, ვისგანაც შენ მიგიღე, სხვა მწყემსი იყო.  
ოიდიპოსი — სხვა მწყემსი იყო? ვინ? მითხარი, ჩქარა,  
მოხუცი!

მომამბე — ლაიოსის ყმა იყო, ვგონებ...  
ოიდიპოსი — აწ გარდაცვლილი  
თებეს ხელმწიფის?

მომამბე — დიახ, იმის ნახირს მწყემსავდა.  
ოიდიპოსი — ეხლა სად არის? ცოცხალია? იქნებ  
მაჩვენოთ?

მომამბე — თებეს მცხოვრებნო, ეს თქვენ უკეთ  
გეცოდინებათ.

ოიდიპოსი — ხალხნო! თქვენს შორის ნუთუ იმ კაცს არ  
სცნობს არავინ?

აქ, თუ სოფელში თქვენ ის მწყემსი არ შეგხვედრიათ?

ჰა, მოდის უამი საიდუმლოს გამჟღავნებისა...

ხორო — ვგონებ, ის მწყემსი, თქვენ რომ უხმეთ, ის უნდა  
იყოს...

სჯობს იოკასტეს შეეკითხოთ... მან უკეთ იცის.

ოიდიპოსი — შენ როგორ ფიქრობ, ეს მოხუცი რომ  
ასახელებს,

ჩვენც სწორედ იმ კაცს დავუძახეთ? თქვი, იოკასტე?

იოკასტე — (ცდილობს მღელვარება დაფაროს)

ვის ასახელებს? გთხოვ, ნუ უსმენ... სიცრუეს ამბობს...

ოიდიპოსი — ო, არა-მეთქი, როს ხელთა მაქვს ყველა  
საბუთი,

ბარემ სათავეც ვპოვო ჩემი წარმოშობისა.

იოკასტე — (გაშმაგებით)

გაფიცებ ღმერთებს! თავი ოდნავ თუ მაინც გიყვარს,

ნუღარ მოიძევ! ოიდიპოს, გთხოვ, გევედრები...

კნარა, ო, კნარა, რაც ვიტანჯე...

ოიდიპოსი — ნუ გეშინია!

შვილიც რომ ვიყო უჯილაგო, ყურმოჭრილ ყმისა,  
ეს ვერ შებღალავს შენს სიწმინდეს და სათნოებას.

იოკასტე — ნუ იძევ-მეთქი, ოიდიპოს, გთხოვ, გევედრები.  
ოიდიპოსი — ვერ დაგიჯერებ... თვით ქვესკნელში

ჩავსდევ სიმართლეს...

იოკასტე — სიკეთეს ვირჩევ, შენთვის ვბრუნავ, შენს  
სიცოცხლეს...

ოიდიპოსი — (მოუთმენლად)

ეხლა ხომ ხედავ, რომ სიცოცხლე მომძულებია!

იოკასტე — (თავისთვის, სასოწარკვეთით)

ნეტავ არასდროს არ გაგეგო, ვინც ხარ, საბრალოვ!

ოიდიპოსი — (მცველს)

გასწი და მწყემსი აქ მომგვარე... (იოკასტეს) შენ კი, თუ  
გნებავს.

დე, იამაყე შენი გვარის დიდებულებით...

(იოკასტე უკანასკნელ ძალას მოიკრებს, ოიდიპოსთან მივა და ჩუმად  
ეტყვის)

იოკასტე — ო, უბედურზე უბედურო, აწ დავდუმდები...

ეს არის ჩემი აღმოცენესა უკანასკნელი.

(ერთხანს ჩაცეებით სახეში უცქერის; შემდეგ თავზარდაცემული სახეს  
ხელებით დაიფარავს და სასახლისკენ ჩქარი ნაბიჯით გასწევს.)

პირველი უხუცესი — რატომ დაგვტოვა დედოფალმა,  
ფრთხილად, ნეფეო!

ჩემი წუხილით გულმოკლული მსწრაფლ განგვერიდა...

ო, ეს სიჩუმე არ ამოტყდეს ქვეყნის გოდებად.

ოიდიპოსი — დაე გარდამხდეს გარდუფალი! ჩემს  
ფესვებს ვეძებ!...

რაგინდ მდაბალი წარმოშობის არ უნდა ვიყო,

არ მეშინია... მხოლოდ ჩემს ცოლს, პატივმოყვარეს,

უგვარო ქმრისა, რა თქმა უნდა, რომ ერცხვინება...

არაფერია... ჩემი დედა თვით განგება,

მამა —! დრო-ყამი, ნათესავნი — გუნდნი ვარსკვლავთა...

მათი კალთის ქვეშ მე, არარა, ხელმწიფედ ვიქეც...

და როცა ესდენ მწყალობს ზეცა, რად მეშინოდეს,

შევიცნო ჩემი დაბადების იღუმალება?

(მწყემსის მომლოდინე ქვაზე ჩამოჯდება. იქვე მოკრძალებით დგას კო-  
რინთელი მოამბე)

ხორო — თუ მეც შევძლებ წინასწართქმას,

გულიც მართალს მეუბნება...  
ო, კითერონ, დიდო მთაო!  
ოლიმპოსის ღმერთებს გფიცავ,  
ვიდრე მთვარე სევში ჩათვლემს,  
გარს ფერახულით შემოგივლით  
და დიდებას გიგალობებთ...

რადგან ყრმასა ოიდიპოსს,  
სასიყვდილოდ განწირულსა,  
შენ გაუჩნდი მწყალობელად  
და მამობრივ სიყვარულით  
კვლავ სიცოცხლეს აზიარე...  
შენ სიკეთის წიალი ხარ,  
რომ დაიხსენ ჩვენი მეფე...  
ჰოი, ფებოს, შეგვიწყალე  
და განსაცდელს აგვაშორე!  
ო, ვინ იყო უკვდავთაგან,  
ვინცა გშობა, ყრმავ, ნეტარო?  
იქნებ პანმა, მთის მცხოვრებმა,  
ან აპოლომ, ტყის სტუმარმა,  
ნაზ ქალწულთან გაგაჩინა...  
იქნებ ძე ხარ ჰერმესისა.  
იქნებ ბახუსს მწვანე მოღზე  
სადმე სევში უპოვნისხარ,  
ჰელიკონის უტურფესი  
ნიმფასაგან მიგდებული...  
რომელთანაც ზოგჯერ უყვარს  
ბახუსს ყოფნა საღალბოდ.

(მარცხნივ, შორს გამოჩნდება ლაიოსის მწყემსი, რომელიც ოიდიპოსის  
ორ მსახურს მოჰყავს).

ო ი დ ი პ ო ს ი — აგერ ის მწყემსიც, თუმცა წინათ არსად  
მინახავს,

ყველა ნიშნებით, ჩვენ რომ ვეძებთ, ის უნდა იყოს, —  
ღრმა მოხუცია, წლოვანებით მოამბის ტოლი...  
ღიახ, ეს ჩემი მონებია, თან რომ ახლავან...  
ალბათ თქვენ ჩემზე უკეთ იცნობთ...

ერთ-ერთი უხუცესი — დიახ, მეფეო,  
 ის უნდა იყოს, ლაიოსის ერთგული მწყემსი.

ოიდიპოსი — ეხლა კორინთელ გზირსაც ვკითხოთ...  
 კარგად შეხედე, —

შენ რომ ამბობდი, ის მწყემსია?

მოამბე — დიახ, მეფეო!  
 (ამასობაში მწყემსი შემოვა აქეთ-იქით შეშინებული იყურება).

ოიდიპოსი — (მწყემსს)  
 მოხუცო, თვალნი გამისწორე და მიპასუხე, —  
 შენ ლაიოსის ყმა იყავი?

მწყემსი — დიახ, მეფეო!  
 განა მიყიდა, შინ გაზრდილი მონა ვიყავი.

ოიდიპოსი — რა ხელობის ხარ?

მწყემსი — რა და მთელი ჩემი სიცოცხლე  
 ნახრის ვმწყესავდი.

ოიდიპოსი — უფრო ხშირად სად ამოვებდი?

მწყემსი — ხან კითერონის ფერდობებზე... ხან იქვე  
 ახლოს...

ოიდიპოსი — კარგად უცქირე, იქ ეს კაცი ხომ არ  
 გინახავს?

მწყემსი — (შეშინებული)  
 სად? რა საქმეზე, ვისზე ბრძანებთ? (ნაძალადევი სიმშვიდით)

ოიდიპოსი — (მოამბეზე უჩვენებს)  
 შენ წინ რომა დგას...

ნუთუ ეს კაცი იქ არასდროს არ შეგხვედრია?

მწყემსი — (მოამბეს აკვირდება, ვითომ ვერ იცნო. უკან ნახალ  
 თავს გადაიქნევს)

აბა შევხედო! არა, მეღვე, არ მაგონდება...

მოამბე — ნუ გიკვირს, მეფეო, რაც არ ახსოვს, მე  
 გავასტყნებ...

მაშინ მას ჰყავდა ორი ჯოგა, მე კიდევ — ერთი.  
 და ამ საქონელს კითერონზე ერთად ვმწყესავდით.  
 ერთ იალალზე გავატარეთ სამი ზაფხული...  
 ხოლო როცა მიწა ნაპირას პირზე ღირხლს დაიდებდა,  
 წამსვე საქონელს შევტრკავდით მე — ჩემს ბოსელში,

ის კიდევ — თავის 'საჩეხეში... (მწყემსს) ხომ მართალს  
ვამბობ?

მწყემსი — (დაფიქრების შემდეგ)

ვგონებ სწორს ამბობს... იმის შემდეგ დიდმა დრომ  
განვლო...

მოამბე — ესეც თუ გახსოვს, შენ მომეცი ძუძუთა ბავშვი,  
და მთხოვე, რათა აღმეზარდა ვით ღვიძლი შეილი.

მწყემსი — (შეშფოთებული)

ეგ რატომ მკითხე?

მოამბე — (ამყად ოიდიპოსზე უჩვენებს)

ჰა ის ბავშვი, დღეს ხელმწიფეა...

მწყემსი — (თავზარდაცემული)

ხმა ჩაიწყვიტე!.. უგუნურო!

ოიდიპოსი — (მკატრად)

კკუით, მოხუცო!

იმას რად სტუქსავ, როს თვითონ ხარ სასჯელის ღირსი?

მწყემსი — ჩემო ხელმწიფე, რა შეგცოდე მე შავდლიანმა?

ოიდიპოსი — მან ბავშვზე გკითხა, უპასუხე!

მწყემსი —

მეფე, მერწმუნე,

თვითონ არ ესმის, რასაც ჩმახავს... სულ სიცრუეა...

ოიდიპოსი — როცა სიკეთე უძლურია, სიბუდე გასჭრის.

მწყემსი — (თვალცრემლიანი)

ღვთის გულისათვის, მოხუცი ვარ, ნუ დამსჯი, მეფე!

ოიდიპოსი — (მტყულებს) ჰეი, მონებო, შეუჯარით საბლით  
ხელები!

მწყემსი — ნეტა რად მტანჯავთ, ხელმწიფეო, რა გნებავთ  
ჩემგან?

ოიდიპოსი — ქვმმარტება... ამ კაცს ბავშვი ხომ შენ  
მიეცი?

მწყემსი — (ნაღვლიანად)

ეხ, დღო მეფე!.. ნეტავ იმ დღეს მოვკვდარიყავი.

ოიდიპოსი — ეხლა მოცელები, თუ სიმართლეს არ  
აღმოიჩყვი.

მწყემსი — (ყრუჯ, თავისთვის)

ვაი თქმას, უი უთქმელობას... ეხ, დავიღუპე...

ო ი დ ი პ ო ს ი — (მიუთმენლად) შენს პასუხს ვუტედი, არ  
განვრისხდე...

მ წ ყ ე მ ს ი — ჰო, მე მივეცი...

ო ი დ ი პ ო ს ი — (მღელვარებით) ესეც ნიუხარი, შენი იყო თუ  
სხვისი შვილი?

მ წ ყ ე მ ს ი — არა, ის ჩემი როდი იყო, სხვამ ჩამაბარა...

ო ი დ ი პ ო ს ი — ვისი სახლიდან იყო ბავშვი, ვინ ჩაგაბარა?

მ წ ყ ე მ ს ი — (ოიდიბოსს ფეხებში ჩაუკარღება)

ჩემო ხელმწიფევე, ნულარ მკითხავ, ღვთის გულისათვის!

ო ი დ ი პ ო ს ი — (ვაცოფებული)

თუ გინდა სული შეგარჩინო, პასუხი-მეთქი...

მ წ ყ ე მ ს ი — აბა, როგორ ვთქვა... ლაიოსის სახლიდან იყო...

ო ი დ ი პ ო ს ი — (მცირე პაუზის შემდეგ, მართოლვარე სმით)

მოხა თუ მეფის წათესავი?

მ წ ყ ე მ ს ი — ეა ჩენს თავსა!

ამ ბორბტების თქმაც კი ისე საშინელია...

ო ი დ ი პ ო ს ი — (ყრუდ, თავისთვის)

და უფრო მეტად გაგონება... (მწყემსს) თქვი, დაასრულე...

მ წ ყ ე მ ს ი — ის ლაიოსის ვაჟი იყო... (სასახლისკენ ხელს გაიშ-  
ვებს) მეუღლეს ჰკითხე...

მან უკეთ იცის...

ო ი დ ი პ ო ს ი — (ბურანში წასული)

განა თვითონ მან მოგცა შვილი?

მ წ ყ ე მ ს ი — დიახ, მეფეო! თვითონ!

ო ი დ ი პ ო ს ი — რისთვის?

მ წ ყ ე მ ს ი — მოსაკვდინებლად.

ო ი დ ი პ ო ს ი — შვილი გასწირა?

მ წ ყ ე მ ს ი — ეშინოდა წინასწართქმულის...

ო ი დ ი პ ო ს ი — თქმული რა იყო?

მ წ ყ ე მ ს ი — თავის მამას შვილი მოჰკლავსო...

ო ი დ ი პ ო ს ი — მერედა ამ კაცს რად მიმეცი, რად არ  
მომკალი?

მ წ ყ ე მ ს ი — ვერ გაგომეტე... თან ვიფიქრე, რომ შენ ეს  
კაცი

თავის შორეულ ქვეყანაში გადაგვარავდა.

ამას კი მოჰყვა ეგზომ დიდი საშინელება...

როგორც ეს ამბობს, თუ ის ბავშვი შენა ხარ, მეფევ,

შენზე ცოდვილი ქვეყნად არვინ მოიძიება...

(მწყემსი კუთხეში მიდგება. კორინთელი მოამბე სადღაც გაიპარება. მცველნი სასახლის კარებისაკენ დაიხევენ. უხუცესნი შიშით ერთმანეთს ეკვრიან).

ოი დიპოსი — აჟ ყოველივე ნათელია... ვაი ჩემს თავსა!

თურმე ყოფილვარ დაწყევლილი დაბადებითვე,

დედის სარეცლის წამბილწველი და მამის მკვლელი...

აჟ ჩაქრი, ნზეო, თვალთა ჩემთა ნულარ უნათებ.

(თავზე მოსახსამის კალთას წამოიფარებს და გაათრებული სასახლისაკენ გარბის).

ხორო — ეხ, რა ყოფილვარ, ადამიანო,

თუ არა ლანდი მსწრაფლწარმავალი?

ეხ, რა ყოფილვარ, კაცთ ნეტარებაე,

თუ არა ფუჰად მოსაჩვენარი

და წამიერი ზმანება მხოლოდ.

ჰე, თიდიპოს, როს თვალწინ მიდგას

შენი წარსულის დიდებულება

და ნეტარება ქვესკნელს დანთქმული,

ადარვინ მიჩანს სვებედნიერად...

შენ, ვინც ამალლდი ხელმწიფებამდე,

ვინც საშინელი ფრთოსნის განდევნით

სამშობლოს ჩემსას გაუჩნდი მხსნელად,

ჰპოვე სრულქმნილი ბედნიერება

და მეუფება თებეს ქვეყნისა...

ვისაც არასდროს არა გკლებია

ხოტბა, თაყვანი და ნეტარება...

ეჭლა ვინლა ხარ, პოი. ბედკრულო!

ვინ არის, ეგზომ რომ განეწიროს

დაუდგრომელი ბედის ტრიალსა?

ჰე, თიდიპოს, ხელმწიფეთ შორის

სახელოვნებით სწორუპოვარო!

ერთ სარეცელზე შვილი და მამა,

ვით განცხრებოდით ნეტარებითა?  
ანდა მწობელი მამის საწოლმა  
შვილს გან ეგზომ დიდი შებილწვა  
ნეტავ ამდენ ხანს ვით დაითმინა!  
ნაკრამ დრომ, ყოვლის მამხილებელმა,  
ესლა საქვეყნოდ ახადა ფარდა  
შენი სიბრძავით ქმნილ შეცოდებას...  
ჰოი ბედკრულო, ძევ ლაიოსის!  
ნეტავ ჩემს თვალთა სულ არ ენახეთ...  
მამინ არც ასე დაიმდულვროდნენ  
სასოწარკვეთით მტირალნი თვალნი,  
რომ აღმიხილე სასიხარულოდ  
და მწუხარებით კვლავ დამიხუტე.

მ ხ ე ვ ა ლ ი — (სასახლიდან გამორბის)

ვაი, რა მოხდა! ეს რა მოხდა!.. რა საზარლობა!  
ოღეს გაიგებთ და იხილავთ, უფალნო ჩემნო!  
გული ჩაგწყდებათ, თვალნი ცრემლით დაგემდულრებათ,  
თუ კიდევ გიყვართ ძველი სახლი ლაბდაკიდებს,  
ვერცა ისტროსის, ვერც ფასისის შმაგმა ტალღებმა  
ვერლა წარეცხონ იგი ცოდვა და ბოროტება, —  
რაიც ნებსით თუ უნებლიეთ ამ კერქვეშ ქმნილა  
და რაც საქვეყნოდ განცხადდება ამიერიდან.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი — რაც ვიცით, ისიც ჰყოფნის  
გულსა, მეტს რაღას გვეტყვი?

მ ხ ე ვ ა ლ ი — აწ იოკასტე აღარ ცოცხლობს...

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი — ჰოი საბრალო!

განა ვინ მოჰკლა?

მ ხ ე ვ ა ლ ი — არც არავინ, თავი მოიკლა...

ნეტავი თქვენა, რომ მის სიკვდილს არ დასწრებინართ!

მე კი იქ ვიყავ, თვალით ვნახე ეს საზარლობა...

(გმინვა-წამება დედოფლისა უკანასკნელი)

მაშ მოისმინეთ: წუთის წინათ, როს იოკასტე

საშინელ ქმუნვით ფერმიხდილი თქვენ განგერიდათ,

სწრაფად ტალანი გაირბინა და თმების გლეჯით

საწოლ ოთახში შეგარდნილმა კარნი დახურა:

ჩვენც იქ დავდექით... და მოგვესმა, რომ დედოფალი აწ განსვენებულ ლაიოსის ლანდს შესჩიოდა:  
„ო, უბედურო! თუ გახსოვსო ის ბნელი ღამე, როს ჩვენ ერთობით გავაჩინეთ შენივე მკვლელი და ჩემი ქმრობით ბედკრულ შვილთა წარმოშობილი...“  
თავის საწოლსაც დაატირა: „ქმრისაგან ქმარი, შვილისგან შვილნი მე, წყეულმა, აქ დავბადეო“...  
შემდეგ, არ ვიცი. დედოფალი ვით აღესრულა... რადგან უეცრად შემოიჭრა ოიდიპოსი, საშინლად სახეარეული ითხოვდა ხმალსა, გაოგნებული აქეთ-იქით რომ აწყდებოდა...  
თან გაჰყვიროდა: „სად არისო აქ ცოლი ჩემი, ცოლი კი არა დედაჩემი... დეიძლი დედაო?“  
ჩვენც ოიდიპოსს შევეყურებდით ხმაგავნენდილნი და იოკასტეს სიკვდილი კი გამოგვეპარა...  
ჩვენ როდი გვითქვამს... ალბათ წეფეს მწუხარე სულმა, ან თუ განგების იღუწაღმა ხმამ ჩასჩურჩულა, რომ იგი წამსვე იოკასტეს ოთახთან გაჩნდა, ერთი საზარლად დაიდმუვლა და მძლავრი დარტყმით შელუწა კარნი თავის ურდულ-კოცებიანად...  
შეიჭრა შიგნით და რა ვნახეთ... ჰოი, რა ვნახეთ?!  
თოკსე ეკიდა დედოფალი და ირწეოდა...

საზარლო ქმარმა მარყუჟიდან გამოხსნა იგი და როცა ნაზად თბილი ფეხი ძირს დაასვენა, აი აქ მოხდა უფრო მეტი საშინელება:  
ოიდიპოსმა მიცვალეზულ ცოლს გულზე ასხნა ბალთა თქროსი, შესაკვრელი მოსასხამისა, თვალნი მემუნვარედ ჭერს მიაპყრო და ეს წარმოსთქვა:  
„თქვენ ვერ იხილეთ ჩემგან ქმნილი ბოროტებანი!  
თქვენ ვერ იხილეთ საყვარელნი მშობელნი ჩემნი,  
თქვენ ვერ იხილეთ ვერც მოყვასნი ჩემი ერთგულნი...  
და ვერცა ნახეთ, ვის ნახვასაც ეგრე ვნატრობდი,  
რადგან გეკრძალვით ყოვლის ნახვა აწ და მარადის...“  
რა ეს წარმოსთქვა, ზე ასწია უპე-წამწამნი

და პირმახვილი ბალთით თვალნი გამოითხარა...  
მყის ღაპალუპით წამოვიდა სისხლის წვეთები...  
და განა მარტო სისხლი იყო? ო, სისხლთან ერთად,  
ორივე თვალიდან შავი წყალი მოთქრიალებდა...  
ამრიგად ქმარმა ცოლის ტანჯვა გაიზიარა;  
უეშველია, არ ჰკლებიათ მათ ნეტარება,  
ეხლა კი სახლი, ეგზომ დიდი სიხარულისა,  
იქცა სიკვდილის, სირცხვილის და ცოდვის სავანედ.

ხორო — ეხლა რას შერება უბედური?

მხევალი — ყვირის, მძვინვარებს...

კარნი გააღეთ, ყველამ ნახოს მამისმკვლელო...  
ვინც თავის დედას... ო, არ ძალბიძს განვიმეორო...  
გარეთ მოიწვეს, სურს ეხლავე რომ გარდინვეწოს,  
მაგრამ საბრალო ფეხზე ძლივს დგას და უმეგზუროდ,  
რაღა თქვა უნდა, ვერსად წავა... ჰა, უკვე მოჰყავთ...

(მწყემსი, რომელიც ამას დიდი გულისყურით უსმენდა, სასახლის  
ახლო კიბეზე ჩამოჯდა, თიდიპოსს ელოდება)

ო, მისი ხილვა თვით მოსისხლე მტერს მოჰგვრის  
ცრემლსა...

პირველი უხუცესი — აი წამება ენით უთქმელი!

ჯერ არნახული საშინელება!

რა შავმა ფიქრმა დაატრიალა

შენს ტანჯულ სულში ეგ ქარიშხალი.—

რომ მთლად აღგავა სიცოცხლე შენი?

თქვი, ვინ გარგუნა, რომელმა ღმერთმა

ეს დიდი რისხვა, ტანჯვა ესდენი?

მსურს რამე გკითხო — სიტყვა ვერ ვპოვე...

მსურს შემოგხედო — თვალს ვერ გისწორებ...

ო, სისხლს გვიყინავს ეს საზარლობა!

თიდიპოსი — (შემოჰყავთ, იგი ჯერ კიდევ ბურანშია)

ო... აქ სადა ვარ, სად მომიყვანეთ?

რა უცნაურად ეღერს ჩემი ხმა ამ უკუნეთში...

ო, ბედისწერავ, საით მიმართე?

პირველი უხუცესი — შეცოდების გზით მწუხარების  
შავ უღაბნოში...

ო დ ი პ ო ს ი — ირგვლივ ღრუბლები, სულ ღრუბლები, შავი  
ღრუბლები...

მხოლოდ წყვილია... უსასრულო... განუქვრეტელი...

ო, თვალთა გუგა როგორ მეწვის!.. არაფერია!..

ათასჯერ უფრო მტანჯველია სსოვნა წარსულის...

პ ი რ ვ ე ლ ი უ ხ უ ც ე ს ი — სულიც და ხორციც ერთად  
გტყევა, პოი ბედკრულო.

აბა რა გითხრათ, ოდიპოს, რით განუგეშოთ?

ო დ ი პ ო ს ი — (იციო)

ო, ჩემო ძველო მეგობარო, შენი ხმა მესმის...

გსტყრს მანუგეშო? კვლავ არ იშლი ჩენს ერთგულებას?

შენმა ხმამ ბნელი გაანათა და დაგინახე...

რატომ დადუმდი. თქვი, ხომ გიცანი?

პ ი რ ვ ე ლ ი უ ხ უ ც ე ს ი — დიას, ეს მე ვარ, ოდიპოს,  
მაგრამ მითხარი,

ეგრე საზარლად თვალნი რატომ დაისახიჩრე?

ვინ გაიძულა, კაცმა თუ ღმერთმა?

ო დ ი პ ო ს ი — აპოლომ, ჩემო მეგობარო, დიდმა აპოლომ...

მან განმიმზადა საშინელი ეს სატანჯველი.

თვალნი კი თვითონ ჩემივ ბელით ამოვიღადრე...

რისთვის მეცქირა!..

პ ი რ ვ ე ლ ი უ ხ უ ც ე ს ი — ეხ, რა გითხრა, იქნებ სწორს  
ამბობ...

ო დ ი პ ო ს ი — თქვი, რაღა დანარჩა გასახარელი?

ვინ დამენახა, რა მყვარებოდა?

ო, მეგობარნო, გთხოვთ, წამიყვანეთ...

ესლავ განმაგდეთ, შორს გადამკარგეთ...

ღვთით დათრგუნვილი... კაცთ საძულველი.

პ ი რ ვ ე ლ ი უ ხ უ ც ე ს ი — შენ იმდენადვე უბედო ხარ,  
რამდენად ბრძენი...

ნეტავ, მეფეო, სულ არ მენახე!..

ო დ ი პ ო ს ი — წყეულიმც იყოთ ავბედითი ის სიბრალული,

რამაც ჩემს ფეხზე მწყემსს თასმები შეაქსნეევინა

და მე დამიხსნა სიკვდილისგან, ოდეს სიკვდილი

თვითონ ხსნა იყო ამ საშინელ სატანჯველისგან...

ო, ამ საბრალულს შეეწირნენ მოყვასანი ჩემნი  
და სათნოება იქცა ცოდვად და ბოროტებად...

პირველი უხუცესი — მაინც ამ საქმეს, ოიდიბოს,  
ვერ მოგიწონებთ...

უკუნ ღამეში მუდამ ყოფნას სიკვდილი სჯობდა...

ოიდიბოსი — არა, არ მითხრა!.. ამათა ეგ საყვედური!

ეხლა ჩემთვის ჯობს უკუნეთი უვანთიადო,

თვითონ განსაჯე, იქ, ჰადესში, მოკლულ მამისთვის.

ტანჯულ დედისთვის თვალწილულსა ვით შემეხება?

ანდა ბედკრული შვილებისთვის ვითლა მეცქირა,

რომელთ წინაშე ისე დიდი მაქვს შეცოდება,

რომ ამას თავის დახრჩობითაც ვერ გავასწორებ.

არა, ო, არა! ეს ცა, მიწა, კოშკნი მაღალნი.

თუ ღვთის ქანდაკნი ჩემს საამოდ არ გაჩენილან...

მე თვითონ ვბრძანე, ოდეს მეპყრა ხელმწიფის სკიპტრა

რომ განედევნათ ცოდვისმქნელი, დვითათ მხილებული..

ეხლა აღმოჩნდა, მკვლელი მე ვარ, და თუ ეს მე ვარ,

თვალის რომ მქონდეს, ხომ სირცხვილით ვერ

შეგხედავდით?

ნეტავ შემეძლოს სამუდამოდ დავიხშო ყურნი

და ჩემი გვანი ჩემივ ტანჯვის ციხედ ვაქციო...

არცა ხმა მესმას... არც არავინ შემოიხედოს...

მშფოთვარე სული იქნებ უფრო განისვენებდა...

ო, კითერონო! რად მიმიღე წიაღსა შენსა?

და თუ მიმიღე, რად არ მომკალ? მაშინ ეს ხალხიც

ვერ შეიცნობდა ბედუკუღმართ ჩემს დაბადებას.

შენცა, კორინთოს ძველო სახლო! შენცა, პოლიბოს!

ევზომ თვალადი რად გამზარდეთ, თუ ჩემს სხეულში

შავი მუწუცი მწიფდებოდა ბოროტებისა?

ო, მწვანე ტყეო, ვიწრო ხეო. გზაჯვარედინო!

აბა თუ გახსოვთ საზარელი ის მოგზაური,

თავისი ხელით მამის სისხლი რომ მოგასხურათ?

განა ეს იყო გამარჯვება? შემდეგ... ო, შემდეგ...

ქორწილი... ტურფა დედოფალი, ვისი ქმრობითაც

გავხდი სათავე ენით უთქმელ საზიზღრობისა:

ქმარი დედისა, შვილი ცოლის, იმე შეილები...  
და ცხადად მოხდა, რაც სიზმრადაც სარცხვინელია.  
გთხოვთ, გვედრებით, ამ ქვეყნიდან შორს

გარდამხვეწეთ...

მომკალით, ზღვაში ვაღამავდეთ! ქვესკნელს დამშალოთ,  
ისე, რომ თქვენგან სამუდამოდ თვალს მივეფარო.  
ნუ გეზიზღებით... ბარემ მოდიეთ, ხელი ჩამკვიდეთ...  
ჩემი შეხების გეშინიათ? ნუ გეშინიათ!..  
თუმცა ჩემშია ქვეყნის ბიწი, ცოლვა, ვაება...  
არა, ეს თქვენზე არ გადმოვა, ი, ძმანო ჩემნო!

ხორო — აგერ კრეონიც... რასაც ჩვენ გეთხოვ, მას  
მოახსენე...

ეხლა ივია შენს მაგიერ მეუღლე ჩვენი...

ოიდიპოსი — ვაგლახ! ო, ვაგლახ! მას განკითხვა რა პირობით  
გთხოვო,

ვისდამეც ვიყავ ეგზომ მკაცრი, განუკითხველი...

(მარჯვენა მხრიდან მსლებლებთან ერთად სცენაზე შემოდის კრეონი,  
ოიდიპოსს დიხანს შეჰყურებს დაღონებული. შემდეგ ერთ მსლებელს  
იხმობს და რაღაცას ჩასჩურჩულებს. მსლებელი სასახლეში შედის, ხო-  
კრეონი ოიდიპოსს ალერსიანად მხარზე ხელს დაადებს).

კრეონი — ნუ გეშინია, ოიდიპოს, არას გაყვედრი...

განა აქ მოველ, რომ დავცინო შენს მწუხარებას?

(ხალხს) თქვენ კი, კაცის თუ არ გრცხვენიათ, ამ ცას  
შეხედეთ...

მზეს, ყოვლისშემქმნელს, რად აკადრებთ ამ უხამსობას,  
რასაც ეს მიწა, წმინდა წვიმა თუ ღრის სინათლე  
თავის წიაღში ვერ ნოითმენს გამიშვლებულსა.

ეხლავ იქ, სახლში შეიყვანეთ ეს უბედური!

მხოლოდ ნათესავთ აქვთ უფლება, რომ თანაგრძნობით  
გასინჯონ წყლული მოყვასისა და უსალბუნონ.

ოიდიპოსი — შენგან ამ ნუგეშს არ ველოდი, ო, ძმანო,  
კრეონ!

და რადგან ეხლა მოკვდავთ შორის უბოროტესთან,  
კეთილგანზრახვით, თანაგრძნობით მობრძანებულხარ,  
გთხოვ ჩემი სიტყვა მოისმინო უკანასკნელი...



რაც მე დამაკლდეს დღე, ღმერთებმა შენ გიწყალობონ.  
თქვენ კი სადა ხართ, შვილნო ჩემნო, მოდიოთ, შემეხეთ...  
ჩემს ხელებს უფროხით? ეს ხომ თქვენი ძმის ხელებია,  
ეგზომ უწყალოდ რომ დასთხარეს თქვენს მამას თვალნი  
და სინათლიდან საუკუნო წყვილიადში დანთქეს.  
ეხ, რა ვიცოდი, უბედურმა, ო, შვილნო ჩემნო,  
რომ ჩემი დედაც იყო იგი, ვინც თქვენ დაგბადათ...  
აწ გვიან არის და დავტირი ჩვენს ბედშავობას...  
ვიცი, ო, ვიცი რა ტანჯვაშიც უნდა დალიოთ  
კაცთა აუგით მოწამლული სიცოცხლის დღენი...  
განა სად ჰპოვებთ ისეთ ლხინსა, თამაშს, დღეობას,  
რომ თქვენ იქიდან სახლს ქვითინით არ მიაშუროთ?  
შემდეგ, როდესაც დრო მოგიწევთ დაქორწინების.  
განა თქვენს შერთვას ქვეყანაზე ვინმე გაბედავს  
და არ შეზარავს სამარცხვინო ეგ წარმოშობა?  
ნაზად ხელს თავზე ვინ დაგისვამთ, ვინ განუგეშებთ?  
არავინ, შვილნო, სულ არავინ... განკრცხულები,  
უქორწინებლად უნდა დასქენეთ და გარდავლინდეთ.  
ერთი იმედი მხოლოდ შენ ხარ, მენეოკის ძევ!  
ამათ მშობელნი დაედუპათ, აწ შენ ხარ მამა.  
დღე, ნუ ინებებ, რომ საბრალო მოყვასნი შენნი  
ეხეტებოდნენ ვით გლახაკნი უთვისტომონი,  
და მათი ბედი დაემსგავსოს ჩემ სასტიკ ბედსა...  
შენც კარგად იცი, მათ შენს გარდა არ ჰყავთ არავინ...  
გთხოვ, შენს კეთილ გულს შეაფარო უმწეო ბაღლნი...  
თანხმობის ნიშნად ხელი მომეც, დიდსულოვანო!

(კრეონი ოიდიპოსს მსურვალედ ხელს ჩამოართმევს)

გმადლობ, ხელმწიფევ! თქვენ კი, შვილნო, სხვასაც  
გეტყოლით,  
მაგრამ ჯერ სიბრძნეს ვერ შეისმენთ უასაკონი...  
მხოლოდ გისურვებთ, ეს სიმწარე გაშოროთ ღმერთმა.

კ რ ე ო ნ ი — გთხოვ, პალატს შედი, ოიდიპოს!

ო ი დ ი პ ო ს ი —

არა, ხელმწიფევ!

წინ დიდი გზა მაქვს გასავლელი... მშვიდობა თქვენდა!

(ოიდიპოსი შვილებს მოეხვევა, კრეონსა და უხუცესებს გამოეთხოვება და რამდენიმე ნაბიჯს გაუბედავად გადადგამს, რომ ამ დროს მწყემსი, რომელიც აქამდე სასახლის კართან თავისთვის იჯდა, ოიდიპოსთან მივა. მას მარცხენა ხელში ხელს ჩასკიდებს, ხოლო მარჯვენაში ყავარჯენს დაპერინებს. შეცბუნებული ოიდიპოსი უკან დაიხევს... მოხუცი ჩემად ეტყვის თავის ვინაობას... ამ უცნაური შეხვედრით განცვიფრებული ოიდიპოსი მოხუცს მარცხენა ხელს მხარზე ჩამოსდებს და მარჯვენა ხელში დაპერილი ყავარჯენის ცეცებით მწყემსთან ერთად მიდის. კრეონი, გამდელი და ბავშვები კიბის ზედა საფეხურიდან გასცქერიან ვარსკვლავიანი ქვეშ უსასრულობაში მიმავალ ოიდიპოსს...

უხუცესნი თვალით აცილებენ თებეს დიდებულ ხელმწიფეს. ბავშვებ უხმოდ ქვითინებენ).

პირველი უხუცესი — კადმოსის ხალხნო! ჰა,  
ოიდიპოს ბრძენი და ქველი...

ვინცა შეიციან ძნელ ამოცანის იღუმალება...

ვინცა ამაღლდა თვით ყოვლისშემძლე ხელმწიფე ბამდე  
და ვისი ბედიც ყოველ კაცთაგან იყო საშურველ, —  
ეხლად ანახეთ, თუ რა საშინელ უფსკრულს  
დანთქმულა...

გახსოვდეთ, კაცსა სვებედნიერი არ ეწოდების,  
ვიდრე უნადვლოდ, სრულად არ განვლის ცხოველ...

დასასრული



ს. შაუხრიშვილის

რედაქციითა და წინასიტყვაობით

